# ლელო

**№43**
**(10954)**

ნოემბერი. 1995 წ.
დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია ●ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი
XIV ტური

„ეგრისი“ — „სიონი“ 3-0
„დინამო“ თბ. — „დურუჯი“ 11-0
„კოლხეთი-1913“ — „კახეთი“ 5-2
„დინამო“ ბთ. — „ივერია“ 3-1
„ტორპედო“ — „მარგვეთი“ 2-1
„მეტალურგი“ — „დილა“ 5-1

## საქართველოს თასზე

ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩში „კოლხეთი-1913“-მა დაამარცხა „კახეთი“ 3-1.

## გ. ქინქლაძე და რ. არველაძე — საუკეთესოთა შორის

ქართველმა ფეხბურთელებმა გიორგი ქინქლაძემ და რევაზ არველაძემ თავი გამოიჩინეს ინგლისისა და გერმანიის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩებში. გ. ქინქლაძე (ინგლისის „მანჩესტერ სიტი“) შეიყვანეს ტურის სიმბოლურ ნაკრებში, ხოლო რ. არველაძემ გერმანიის თასის მატჩში („ჰომბურგი“ — „კაიზერსლაუტერნი“) გოლი გაიტანა „კაიზერსლაუტერნის“ კარში.

## ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში

## იტალია — უკრაინა 3-1

12 ნოემბერს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი IV საკვალიფიკაციო ჯგუფში. იტალიელებმა მიიღეს უკრაინის ნაკრები და გაიმარჯვეს ანგარიშით 3-1. ხორვატიისა და იტალიის გუნდებს ახლა ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ — 20-20, ჯგუფში პირველი ადგილის ბედი გადაწყდება 15 ნოემბერს სლოვენია-ხორვატიისა და იტალია-ლიტვის შეხვედრებში.

## კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შერჩევითი ტურნირი ● პირველი ჯგუფი ● მესამე ტური

12 ნოემბერი. თბილისის სპორტის სასახლე.

საქართველოს ნაკრები — ისრაელის ნაკრები 84:89 (44:38)

საქართველოს ნაკრები: სტეფანია №6 (15 ქულა), ტურაშვილი №7 (0), შენგელია №10 (0), ქარაბაკი №12 (13), ჩხეიძე №15 (7), ვაშაკიძე №4 (10), სანაძე №8 (15), ნაცვლიშვილი №13 (10), დერიუგინი №11 (8), ბაქრაძე №5 (6).

ისრაელის ნაკრები: ჰანფელდი №4 (18), კატაში №6 (14), კაცი №7 (11), ჯამჩი №12 (26), ფლეიშერი №15 (1), დანიელი №5 (10), შტეინჰაუერი №10 (5), თორჯმენი №9 (1), შელეფი №14 (3).

მსაჯები: გ. ზემბლიტცკი (პოლონეთი), კ. ბრუნა (ჩეხეთი).



სურათზე: ლევან ქარაბაკი მაღალ ნახტომში ბურთს კალათში გზავნის.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

წინასამატჩო აჟიოტაჟი მოჭარბებულიც იყო და რატომღაც, აცხადებდნენ, რომ სტუმრების დამარცხება მსოფლიო მნიშვნელობის სენსაცია იქნებოდა. ასეთი პროგნოზი ისრაელის კალათბურთელთა სიძლიერეზე მიგვანიშნებდა. მაგრამ, როგორც პაექრობამ დაგვარწმუნა, არც ისე „წყობდა“ როგორც „ქუხდა“. ეს განსაკუთრებით შეხვედრის პირველ ნახევარზე ითქმის, როცა მასპინძლებს, ხელთ ეპყრათ მატჩის სადავეები და არც თუ იშვიათად ანგარიშში სხვაობა 10 ქულას აღწევდა მათ სასარგებლოდ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მწვრთნელთა ტაქტიკამ — შეექმნათ შენგელია-ჩხეიძის მძლავრი ტანდემი, რომელიც სოლივით შეიჭრებოდა მეტოქეთა ზონურ დაცვაში, არ გაამართლა შენგელიას აშკარა მოუმზადებლობის გამო, რაზედაც მისი მარგი ქმედების „ნულოვანი“ კოეფიციენტი მეტყველებს. მერე, როცა მოედანზე დერიუგინი, ვაშაკიძე და სანაძე შემოვიდნენ, უპირატესობა საგრძნობი გახდა. მაგრამ სტუმართა გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და მათ მხოლოდ 6-ქულიანი სხვაობით დათმეს ტაიმი (38:44). შესვენების შემდეგ მასპინძლებმა კვლავ აღადგინეს ათქულიანი სტატუსი — 55:45. თუმცა თამაშის მომდევნო წუთებში ეს უპირატესობა თანდათან გაქრა. 30-ე წუთზე დაწინაურდა სტუმართა გუნდი 56:55. საფინალო სასტვენმა კი მათი გამარჯვება აღნიშნა — 89:84.

სამწუხაროდ, ამჯერადაც თავი იჩინა ჩვენი კალათბურთელების სენმა — საჯარიმოებისადმი „გულგრილობამ“ — 10-ზე მეტი სროლა აცდა მიზანს.

## მილოცვა

საქართველოს კრივის ფედერაცია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოებას ულოცავს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს, გენერალ-ლეიტენანტ შოთა კვირაიას.

## წლის საუკეთესო სპორტსმენები
## წარმოგიდგენთ კანდიდატებს

## ჯონდო მუზაშვილი (სამბო)

დაიბადა 1970 წლის 23 ოქტომბერს მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში.
თავდაცვის სამინისტროს სპორტკლუბი
პოლიციის აკადემიის II კურსის მსმენელი.
სიმაღლე — 178 სმ, წონა — 74 კგ.
მწვრთნელი — აბესალომ წიკლაური
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1983 წელს.
პირველ წარმატებას მიაღწია იმავე წელს — ჭაბუკთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში დაიკავა III ადგილი (ძიუდო).

უმაღლესი მიღწევები. 1993 წ. მსოფლიოს ჩემპიონატი სამბოში (ომსკი) — II ადგილი; 1994 წ. ევროპის ჩემპიონატი სამბოში (პანევეჟისი) — I ადგილი, მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში (ნოვი-სადი) — III ადგილი; 1995 წ. ევროპის ჩემპიონატი სამბოში (მინსკი) — III ადგილი, მსოფლიო ჩემპიონატი სამბოში (სოფია) — I ადგილი. საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი სამბოში, წლეულს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში III ადგილი დაიკავა „მსოფლიოს ვარსკვლავთა“ გუნდურ ტურნირში.



ჯონდო მუზაშვილი.
ვარლამ გენგიურის ფოტო.

**● პირველი წარმატება ძიუდოში გაქვს მოპოვებული, მერე კი სამბო დაგიწყია. რატომ შეიცვალე პროფესია?**

— ჩემი მწვრთნელი აბესალომ წიკლაური კარგი ძიუდოისტიც იყო, სამბისტიც და ქართული ჭიდაობაც ბრწყინვალედ იცოდა. ძიუდოდან სამბოზე გადასვლა მისი სურვილი იყო, მეც, ბუნებრივია, ხმა არ ამომიღია.

**● გული ხომ არ გეთანაღრება ამ გადაწყვეტილების გამო? რაც უნდა იყოს, ძიუდო ოლიმპიური სახეობაა?**

— მე თავს სამბისტადაც ვთვლი და ძიუდოისტადაც. ამიტომ გული არ დამწყვეტია. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბიძინა მაზიაშვილმა შემომთავაზა „თანამშრომლობა“ და მეც, ცხადია, დავყაბულდი. ასეთი ცნობილი სპეციალისტი რომ მიგიწვევს, ჩანს, შენი იმედი აქვს.

**● რომელი გამარჯვება მიგაჩნია შენს საჭიდაო პრაქტიკაში ყველაზე ღირსეულად?**

— პანევეჟისში ევროპის პირველობაზე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ნიკოლოზ იგრუშკინს შევხვდი. არ მეგონა თუ წმინდად მოვუგებდი. ჩავატარე კისრული, გამომივიდა ულამაზესი გდება. ეს იყო ჩემს მიერ შესრულებული საუკეთესო ილეთი.

**● ყველაზე უსიამოვნო მოგონებას რომელი ორთაბრძოლა იწვევს?**

ნოვი სადში მეტად საჭირო გამარჯვება მოვიპოვე იმავე იგრუშკინთან, მერე ყაზახეთის წარმომადგენელი ვალაბუევიც ჩამოვიცილე გზიდან და სრულიად მოულოდნელად ფინალში გადასასვლელი შეხვედრა წავაგე უკრაინელ კუსპიშთან. თანაც გულდასაწყვეტი იყო ის, რომ ბრძოლას ვიგებდი. ბოლო წამებზე მოვადუნე ყურადღება და 2 ქულა დავთმე. წლეულს მსოფლიო ჩემპიონატზე დამაჯერებელი რევანში ავიღე კუსპიშთან, მაგრამ იმ მარცხს რაღა ეშველებოდა. ძალზე ცუდად მახსოვს ომსკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ორთაბრძოლაც, რომელიც ფრედ (2:2) დავამთავრე, მაგრამ ჩემპიონობა ჩემს მეტოქეს მიანიჭეს იმიტომ, რომ მას ორქულიანი ილეთი ჰქონდა მოპოვებული, მე კი ორჯერ — თითოქულიანი.

**● ვინ არის სპორტში შენი იდეალი?**

— გიორგი თენაძე. იგი უკვე ასაკში იყო, როცა სეულში ძიუდოისტთა ოლიმპიურ ტურნირზე ბრინჯაოს ჯილდო მოიპოვა. ასეთ სულიერ სიმტკიცეს ხშირად ახალგაზრდებიც ვერ იჩენენ.

**● წლეულს ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონი ხარ საქართველოდან. თუ გიფიქრია ოდესმე იმაზე, რომ შენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად შეიძლება დაგასახელონ?**

— არასდროს მიფიქრია. ისე კი თავს ბედნიერ კაცად ვგრძნობ, როცა ჩემი ხალხისათვის სიხარული მომაქვს.

**● შენი წონა — 74 კილოგრამი ერთ-ერთი ყველაზე რთული წონაა სამბოში იმიტომ, რომ ყოველთვის, ტრადიციულად ბევრი მოჭიდავე იყრის თავს და ერთი ბრძოლით მეტის ჩატარება გიხდება. რას იტყვი ამაზე?**

— აბა რა უნდა ვთქვა. ღმერთმა ასეთი წონა მარგუნა და უნდა გავუძლო.

ამ საუბარს რომ ვამთავრებდით ერთი საინტერესო ამბავი შევიტყვეთ. ჯონდო მუზაშვილის მშობლიურ სოფელ გალავანში სულ 100 კომლი ცხოვრობს. ჯონდოს უშუალო მეზობელია და სიყრმის მეგობარი მეორე მსოფლიო ჩემპიონი სამბოში არჩილ ჩოხელი. ისინი ბავშვობიდან ერთად ცხოვრობდნენ, იზრდებოდნენ, ოჯახებით მეგობრობდნენ, ერთად ვარჯიშობდნენ, ლხინსა და ჭირს ერთად ინაწილებდნენ და აჰა შედეგიც: გალავნის მადლიანმა მიწამ ორი მსოფლიო ჩემპიონი აღზარდა!

## ყველა „ბებერს“ — მედალი

საფრანგეთის ქალაქ სან დელუზში გაიმართა ვეტერან სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა ექვსი მოჭიდავით II საპრიზო ადგილი დაიკავა ბულგარეთის შემდეგ (ასპარეზობაში მონაწილეობდა 22 ქვეყანა).

ჩვენმა ვეტერანებმა, პირად პირველობაში ასეთი შედეგები აჩვენეს: მევლუდ ჩხაიძე (57 კგ) — I ადგილი, ზაურ სახვაძე (74 კგ) — II ადგილი, ნუგზარ მამულაშვილი (82 კგ) — II ადგილი, ჯემალ ფიცხელაური (მძიმე) — II ადგილი, ავთანდილ თოდრია და თემურ დვალიშვილი (ორივე — 100 კგ) — III-III ადგილები.

აქვე გაიმართა ტურნირი ახალგაზრდებში, სადაც საქართველოს წარმომადგენელმა მურთაზ თურქიამ (62 კგ) პირველი ადგილი მოიპოვა.

## თბილისის მერია — სპორტს და სპორტსმენებს!

ამ დღეებში გამართულ თბილისის მერიის კოლეგიისა და მუნიციპალიტეტის კაბინეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე, მთავარმა მომხსენებელმა ქალაქის მერმა ნ.ლეკიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქალაქის გამდიდრებული ბიუჯეტი ქალაქსავე დაუბრუნდება — სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, კულტურის დაწესებულებებს, სპორტს და სპორტსმენებს...

ადრეც გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ: ქალაქის მერი სიტყვის კაცია!

## მილოცვა

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ვეტერან ალპინისტს, სარეკორდო ასვლების მონაწილეს, ახალგაზრდა მთამსვლელთა გულისხმიერ დამრიგებელს, ალპინისტური ბანაკის — „ზესხოს“ დირექტორს ჯოკია გუგავას.

## შემთხვევები ტრასებზე

ქუთაის-ზუგდიდის ავტოტრასაზე, სოფელ ფარცხანაყანებთან მექორწინეთა ავტომანქანა „ფორდ-სკორპი“ შეეჯახა „იკარუსს“. დაიღუპა ავტომანქანაში მჯდომი ზუგდიდის „დინამოს“ ფეხბურთელი ზვიად ქაძანაია. „სამტრედიის“ საფეხბურთო გუნდის წევრი ბადრი დარასელია მძიმედ დაშავდა. ამავე მანქანაში დაიღუპა ზვიად დარასელიას საცოლე.

• • •

ტრაგიკული შემთხვევა მოხდა ადელაიდაში ავტომობილისტთა პოპულარული ტურნირის „გრან-პრი ავსტრალიის“ წინ, საკვალიფიკაციო რბოლის დროს. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მრბოლელს, ფინელ მიკა ჰაკინენს მოუსრიალდა მანქანა და მძიმე ავარიაში მოჰყვა. დაზარალებული მიიყვანეს ჰოსპიტალში, სადაც ქვეყნის საუკეთესო სპეციალისტები იბრძვიან ავადმყოფის სიცოცხლის გადარჩენისთვის. ექსპერტების აზრით, ჰაკინენი სველ ტრასაზე 200 კილომეტრის სისწრაფით მიჰქროდა. პილოტმა ვერ დაიმორჩილა მანქანა მოსახვევში.

## აგასი და სელეში — თამაშგარე

მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები ანდრე აგასი და მონიკა სელეში არ მიიღებენ მონაწილეობას პროფესიონალთა ასოციაციის ტურნირში, რომელიც, ტრადიციულად, ყოველი სეზონის მიწურულს ეწყობა ფრანკფურტსა და ნიუ-იორკში.

აგასიმ, როგორც ცნობილია, ტრავმა მიიღო ლას-ვეგასის კორტზე, როცა დევისის თასის მატჩში შვედეთის

## ხელმოწერა „ლელოზე“ გრძელდება

გუნდის წარმომადგენელს ხვდებოდა. დაახლოებით იმავე მიზეზით არ გამოვა „მედისონ სკვერ-გარდენის“ არენაზე მონიკა სელეში. მას გამუდმებით აწუხებს მუხლი, რომელიც ექიმების აზრით, შესაძლოა, საოპერაციო გახდეს. ოპერაციის შემთხვევაში კი სელეშს მომავალ წელს ნახევარი სეზონი გაუცდება.

# ბიძინა მაზიაშვილი და მისი ბიჭები ოლიმპიადის საგზურების ძიებაშია

**ბიძინა მაზიაშვილი.** დაიბადა 1928 წელს. გამოდიოდა ქართულ ჭიდაობაში, შემდეგ სამბოში, არის ერთ-ერთი პირველი ქართველი ძიუდოისტი ჩვენში და ყოფილ სსრ კავშირში. 1957 წელს მონაწილეობდა „დინამოს“ პირველ საკავშირო ნაკრებში უნგრელებთან შეხვედრაში გ. სიმონიშვილთან, შ. დაუშვილთან და ო. შინჯიკაშვილთან ერთად. 1962-1982 წლებში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელია. 1970-1978 წლებში მუშაობდა საკავშირო ნაკრებში. ოთხ ოლიმპიადაზე (1964, 1972, 1976, 1980), როცა საბჭოთა ნაკრებში ნახევარ გუნდს ქართველი ფალავნები წარმოადგენდნენ, ბ. მაზიაშვილის ხელმძღვანელობით ჩვენმა ძიუდოისტებმა 8 მედალი მოიპოვეს. 1994 წელს კვლავ მიიწვიეს ეროვნული ნაკრების თავკაცად. ასე რომ, მთელი მისი სპორტული ბიოგრაფია ჭიდაობასთან, ძირითადად კი ძიუდოსთანაა დაკავშირებული.

● **ბატონო ბიძინა, ძიუდო იმთავითვე იოლად გაითავისეს ჩვენმა ფალავნებმა. თქვენ რით ახსნით ამას?**

— ქართული ჭიდაობის მადლით. იცით, თვით იაპონელებმაც კი ბევრი რამ ისწავლეს ჩვენგან, ამას თავადაც არ მალავენ. პირადად მე ორთვიან სემინარებზე მიმიწვიეს იაპონიის ძიუდოსა და სამბოს ფედერაციებმა, რათა ქართული ჭიდაობა უფრო ღრმად გამეცნო მათთვის.

● **ქართველი ძიუდოისტები მუდამ გამოირჩეოდნენ სტაბილურობით, აი ბოლო ხანებში კი ტრადიციები შეირყა. ზოგი მიზეზები არავისთვისაა უცხო, იქნებ სხვა რამეც გიშლით ხელს...**

— მასობრიობა დააქვეითა ცხოვრების საერთო პირობებმა. ამან კი გავლენა მოახდინა ოსტატობაზე. ისე, არც ერთი ძიუდოისტი არ წასულა უცხო ქვეყანაში. სამწუხაროდ, საერთო გაჭირვებამ მინიმუმამდე დაიყვანა სხვადასხვა შეჯიბრებაში გამოსვლის შესაძლებლობანი.

● **სპორტის ბევრ სახეობაში ე.წ. გარდამავალი ეტაპის გამო, ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა ემშვიდობება სპორტს, ალბათ არც ძიუდოა გამონაკლისი.**

— სწორედ ასეა. სპორტსმენი იზრდება, ოსტატდება და იხვეწება შეჯიბრებებში, ასეთ სკოლას კი ძიუდოისტებიც მოკლებულნი არიან. აი, ახლაც, მთავარი ყურადღება ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებაზეა გადატანილი, ცხადია, ასეც უნდა იყოს, მაგრამ დანარჩენები? ამ დღეებში ახალგაზრდები საკუთარი სახსრებით გაემგზავრებიან საბერძნეთში, საერთაშორისო ტურნირზე. საკუთარი ჯიბის თუ სპონსორთა შემწეობის ასეთი შესაძლებლობა, სამწუხაროდ, ყველას არ გააჩნია.

● **რაში ხედავთ გამოსავალს?**

— სპორტის დეპარტამენტს, ჩვენს ფედერაციას ყველა უნდა ამოუდგეს მხარში. ნიჭიერი ახალგაზრდები ყველგან არიან, ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა რაიონებში, ქალაქებში, რეგიონებში მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ამ ბიჭებს.

● **შესწევს თუ არა, დღევანდელ ეროვნულ ნაკრებს უნარი გააგრძელოს წინამორბედთა ტრადიციები საერთაშორისო სარბიელზე?**

— პოტენცია გვაქვს, ოლიმპიადისთვის სამმა ძიუდოისტმა გიორგი ვაზაგაშვილმა (60 კგ), სოსო ლიპარტელიანმა (78) და დავით ხახალეიშვილმა (მძიმე), უკვე მოიპოვეს ლიცენზია. დარჩა ჩასატარებელი ევროპის „ა“ კლასის ტურნირები, სადაც კიდევ შეიძლება დავიმსახუროთ ატლანტის საგზურები.

● **სხვას ვის აქვს ლიცენზიის დამსახურების შანსი?**

— გიორგი რევაზიშვილს (65), გურამ მოდებაძე და ჯონდო მუზაშვილი 71 კგ წონაში გამოდიან, შეიძლება საგზური ორივეს ერგოს, მაგრამ დებულებით ერთი ქვეყნიდან ყოველ წონაში თითო სპორტსმენი ისპარეზებს. ვეძებთ ლიცენზიას დარჩენილ 2 წონაშიც. შანსები აქვთ ივერი ჯიქურაულს და გიორგი წმინდაშვილს (ორივე — 86), მევლუდ ლობჟანიძეს და გიორგი გუგავას (ორივე — 95).

● **ევროპის „ა“ კლასის ტურნირები ახსენეთ, ე.ი. მხოლოდ იქ შეიძლება საგზურების მოპოვება, სულ რამდენი ასეთი შეჯიბრება დარჩა ოლიმპიადამდე?**

— დარჩა 10-მდე ასპარეზობა და ევროპის ჩემპიონატი — 96. ასე რომ, უიმედოდ არ ვართ. მთავარია, უსახსრობის გამოისობით არ გამოვტოვოთ ხსენებული შეჯიბრებები.

● **როგორია, საერთოდ ძიუდოისტთა დღევანდელი მონაგარი?**

— თერთმეტჯერ გამოვიდა ეროვნული ნაკრები სარბიელზე. აქედან ოთხი იყო ოფიციალური. მოპოვებულია ოქროს — 10, ვერცხლის — 16 და ბრინჯაოს — 17 მედალი.



ბიძინა მაზიაშვილი

● **ვინ გაგიმართათ ფინანსურად ხელი ამ შეჯიბრებებში?**

— პირველ ყოვლისა, სპორტის დეპარტამენტმა, რომელმაც ყველა კალენდარული ღონისძიება დააფინანსა, ოლიმპიურმა კომიტეტმა კი ორი შეკრება ჩაგვიტარა გერმანიასა და ბორჯომში.

— მადლობელი ვართ დუშეთის ტურბაზის, თელავისა და საგარეჯოს რაიონების, სპორტკლუბ „დინამოს“ ხელმძღვანელების. განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს წლევანდელ წარმატებებში სპორტსაზოგადოება „შევარდენმა“ და პირადად ბატონმა ბერდია გუგავამ.

ესაუბრა ჯემალ მახარაძე.

## რა ხდება ქვეყანაზე

სულ მალე დიდი ბრიტანეთის პარლამენტი განიხილავს საკითხს დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიორად გამკაცრების შესახებ. სპორტული ფედერაციების სანქციები, პარლამენტართა აზრით, ბრძოლის ერთი საფეხური იქნება. სახელმწიფოს უმაღლესმა ორგანომ კი, მათი აზრით, უნდა მიიღოს კანონი, რომელსაც იურიდიული საფუძველი ექნება.

**ბარსელონის** ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ჭოკით ხტომაში ჟან გალფიონი (საფრანგეთი) მრავალმხრივი მძლეოსანი აღმოჩნდა. ამას წინათ მან მონაწილეობა მიიღო არლიში გამართულ ათჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში და პირველი ადგილი დაიკავა —7415. მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ამ სახეობაში სისტემატური ვარჯიშით იგი შესამჩნევად გააუმჯობესებს შედეგს.

**ველოსპორტში** მსოფლიო თასის მეორე ეტაპის შემდეგ დაწინაურდა იტალიელი ლუკა ბრამატი, რომელსაც 40 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა გერმანელი რიჰარდ გრენენდელი (30), მესამეს კი ერთბაშად ორი ველოსიპედისტი იყოფს — ფრანგი ფერომ შიოტი და შვეიცარიელი დიტერ რუნკელი (თითოეულს 25 ქულა).

**ორლანდოში** (აშშ) მიმდინარე წყალმოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირზე ბრწყინვალედ იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონმა ავსტრალიელმა ბრიუს ნევილმა: ხტომებში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 67,20 მ. ძველი რეკორდი (67,10 მ) ამერიკელ სემი დიუვალს ეკუთვნოდა.

**უმძიმესი** ტრავმის შემდეგ (ხუთი გადატეხილი ნეკნი და გახეთქილი ფილტვი) სპორტს დაუბრუნდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ცხენოსანი კანადელი ივან მილარი. ვაშინგტონში გამართულ კონკურისტთა შეჯიბრებაში მან „პრეზიდენტის პირადი თასი“ მოიგო, თანაც საკმაოდ რთული მარშრუტი საჯარიმო ქულის გარეშე გაიარა 38,02 წამში.

**რუსეთის** საკალათბურთო ჩემპიონატის „ყველა ვარსკლავის მატჩი“ სანკტ-პეტერბურგში გაიმართება. დრო ჯერ არ არის დადგენილი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ კალათბურთელები ითამაშებენ ეროვნულ ჩემპიონატის „პლეი-ოფის“ სერიის დამთავრების შემდეგ.

**გასულ** აგვისტოს მძლეოსანთა გრან-პრის ერთ-ერთ ეტაპზე (კიოლნში) დოპინგის მიღებაში იყო მხილებული 27 წლის რუსი ბადროსმტყორცნელი დიმიტრი შევჩენკო. განმეორებითმა ანალიზმა დაამტკიცა სპორტსმენის დანაშაული. იააფ-მა შევჩენკოს ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

**როგორც** ცნობილია, 1998 წელს აზიის XIII თამაშებს ტაილანდი უმასპინძლებს. შეჯიბრებებში 34 ქვეყნის 7 ათასზე მეტი სპორტსმენის გამოსვლას მოელიან. თამაშების პირველი სპონსორი გახდა სამხრეთ კორეის ერთ-ერთი უდიდესი კორპორაცია „სამსუნგი“, რომელიც ორგანიზატორებს 9 მილიონ დოლარს გამოუყოფს თავისი პროდუქციის რეკლამირების უფლებისათვის. უახლოეს ხანში ორგანიზატორები ახალი სპონსორების გამოჩენას ელიან. პირველ ყოვლისა, იაპონიიდან და ჩინეთიდან. ცნობილი ესპანელი ბიზნესმენი ქალის მარია ტერესა პალასიოსის ქმარი, თავის ქვეყანაში არც თუ დიდად ცნობილი ველოსიპედისტი, გარდაიცვალა ტრასაზე მომხდარი ავარიის შედეგად (დაეჯახა საპირისპირო მიმართულებით მომავალი მანქანა). ამ ტრაგიკული შემთხვევის საპასუხოდ მარია ტერესამ ესპანეთის პარლამენტს გაუგზავნა მიმართვა გზებზე უსაფრთხოების წესების გამკაცრების მიზნით. დოკუმენტს ხელს აწერს 30 ათასი კაცი, მათ შორის საქვეყნოდ ცნობილი ველოსიპედისტი მიგელ ინდურაინი და მისი კოლეგები პედრო დელგადო, ტონი რომინგერი და სხვ.

## რა ხდება ქვეყანაზე



# ქართველ ალპინისტთა ახალი სიმაღლე

**ჰიმალაიდან დაბრუნდა პირველი ქართული ექსპედიცია, რომელმაც დაიპყრო მსოფლიოს ერთ-ერთი ურთულესი რვაათასიანი მწვერვალი დაულაგირი. „ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა ასვლის ხელმძღვანელს გიორგი თორთლაძეს.**

● **თქვენი ექსპედიციის წარმატებასთან დაკავშირებით, საინფორმაციო საშუალებებმა გამოაქვეყნეს სხვადასხვა ცნობა მწვერვალის სიმაღლის შესახებ...**

— დაულაგირი რვაათასიანთა შორის სიმაღლით მეექვსე მწვერვალია — 8.167 მეტრი. ჩვენი მარშრუტი — ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი თხემით კი ყველაზე რთული. იგულისხმება 50-55 გრადუსი დახრილობის ურთულესი ყინულოვანი ფერდობები, განსაკუთრებით 6.200-7400 მეტრის სიმაღლეზე, რომლის დასაძლევად 1.200 მეტრის სიგრძის თოკი დავჭიმეთ.

● **თქვენს გარდა, სხვა ქვეყნის მთამსვლელები თუ იყვნენ იქ.**

— ჩვენთან ერთად, რვა ჯგუფი უტევდა მწვერვალს — სამი იაპონიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ბულგარეთის, ავსტრიისა და ჰოლანდიის მთამსვლელები. მათგან იაპონიის ერთი, ესპანეთის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის ექსპედიციების ასვლა ვერ შედგა, ხოლო ამსვლელთა ჯგუფებში კი ორ კაცზე მეტი არ ყოფილა, ერთი იაპონელი კი, რომელიც შერპთან ერთად იყო მწვერვალზე დაშვების დროს დაიღუპა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყველას ჰიმალაიში ასვლების დიდი გამოცდილება ჰქონდა.

● **თქვენ გყავდათ შერპები?**

— არა, გვყავდა მხოლოდ მზიდავები, რომლებმაც საბაზო ბანაკამდე — 4.700 მეტრამდე აიტანეს ჩვენი ტვირთი და დაგვემშვიდობნენ. საშუალედო ბანაკები გვქონდა 5.700, 6.500 და 7.400 მეტრებზე.

ამინდმა არ გაგვიმართლა, პირიქით, მან უმკაცრესი გამოცდა მოგვიწყო. განსაკუთრებით ბოლო მონაკვეთზე — 7.400 მეტრზე სამი დღე-ღამის განმავლობაში მძვინვარებდა ქარიშხალი, ასვლა ჩაშლის პირამდე მივიდა, რადგან სიმაღლემ დიდი ძალა წაგვართვა და გამოგვფიტა. ამიტომ გავბედეთ, და ქარიშხალში შევუტიეთ მწვერვალს. რისკმა გაგვიმართლა.

● **მოიერიშეთა ჯგუფში ხუთნი იყავით, მწვერვალზე არ ყოფილა დათო ჩანტლაძე, რატომ?**

— საბაზო ბანაკიდან გასვლისთანავე დათოს ქვა მოხვდა ფეხში და დაშავდა.

● **როგორ დაფიქსირდა ოფიციალურად ქართველთა ასვლა დაულაგირზე?**

— ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში გავმართეთ პრესკონფერენცია, რომელსაც ტრადიციულად უძღვება რეიტერის კორესპონდენტი მის ელიზაბეტ ჰოული. ეს ქალბატონი 20 წელია ამ ქალაქში ცხოვრობს და მას აქვს მინდობილი რწმუნებანი დააფიქსიროს, ესე იგი ჩათვალოს, ან არ ჩათვალოს ჰიმალაიში ყველა ასვლა და შემდეგ მსოფლიოს 20 სააგენტოს მიაწოდოს ცნობა მათ შესახებ. მან უყოყმანოდ დააფიქსირა ქართველთა ასვლა დაულაგირზე...

დაბოლოს, ეს ასვლა მივუძღვენით აჭარის დიდი საზოგადო მოღვაწის მემედ აბაშიძის დაბადებიდან 120 წლისთავს და ექსპედიცია აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ დააფინანსა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

**სურათზე:** ასე გამოიყურება დაულაგირი, პუნქტირით აღნიშნულია ქართველ მთამსვლელთა მარშრუტი, რომლითაც მწვერვალი დაიპყრეს.

# სამბო საქართველოს არმიაში

**სამბო,** როგორც სპორტის სახეობა, საბრძოლო ხელოვნების სრულყოფით ჩამოყალიბდა. ამიტომაც ბუნებრივია, ჯარისკაცებში მისი დანერგვით ცალკეული ქვეყნების დაინტერესება. ჩვენს ეროვნულ არმიაში ამჟამად ბევრი ახალგაზრდა სამბისტი მსახურობს და თუ დღეს ვინმეს სპორტული წარმატებები კვლავ მოაქვს ქვეყნისთვის, მათ შორის ისინიც არიან (უფროსი მწვრთნელი ე. ბაბასიანი). წლეულს მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჯ. მუზაშვილი, ევროპაში კი იგი მესამე იყო. ბ. ოდიშვილმა და ვ. პარუნაშვილმა კი მსოფლიო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ევროპის ჩემპიონატში მეორე ადგილი ხვდა გ. გოჩელაშვილს. როგორც გაუწყეთ, ახლახანს „შევარდენის“ ნაკრები არმიელი სამბისტებით გააძლიერეს და გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. არმიელთა სპორტკლუბიდან ამ წარმატებაში ოდიშვილმა, ა. ჩოხელმა, მუზაშვილმა და პარუნაშვილმა შეიტანეს თავიანთი წვლილი.

ჯემალ მახარაძე.

## წვევამდელებო — სტარტზე!

„ეროვნულ არმიას ფიზიკურად გამოწრთობილი ცვლა!“ — ამ დევიზით საბურთალოს რაიონის გამგეობისა და სპორტკომიტეტის თაოსნობით ყოველწლიურად, ტრადიციულად იმართება წვევამდელთა სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობენ დედაქალაქის ათივე რაიონის წარმომადგენლები. პროგრამაში ძირითადად შედის ტექნიკური და სპორტის გამოყენებითი სახეობები. წლევანდელი სპარტაკიადა მასობრიობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა. მთავარი ის როდია, ვინ რა ადგილი დაიკავა, მთავარია, ქართულ ჯარში ჯანღონით სავსე ახალგაზრდობა მოვა.

## ხუთი რგოლის გარშემო

**აშშ-ში** გაფორმდა ისტორიული ხელშეკრულება ორ მოქიშპე ორგანიზაციას — ფბრ-სა და ცრუ-ს შორის ატლანტის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებით. ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ამ თანამშრომლობაში უპირატესობა გამოძიების ფედერალურ ბიუროს (ფბრ) მიეკუთვნება, ვინაიდან ცრუ (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო) უფრო სამხედრო საკითხებშია გათვითცნობიერებული.

**ბრიტანეთში** საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრს, პრინცესა ანას, რომელმაც ვერ უზრუნველყო 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქთა კონკურსში მანჩესტერის გამარჯვება. ბრიტანეთის მთავრობა ამ კრიტიკას არ იზიარებს. პირიქით, მას მიაჩნია, რომ პრინცესა უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს სოკ-ში. ამავე დროს იგი ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებს ინგლისში სპორტის პროპაგანდის მხრივ.

**ითამაშებენ** თუ არა პროფესიონალი კალათბურთელები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც 2000 წელს უნდა გაიმართოს? ეს საკითხი განიხილეს კალათბურთელთა საერთაშორისო ფედერაციის ჰავანის კონგრესის მონაწილეებმა, მაგრამ ერთიანი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს და საკითხიც სამომავლოდ გადაიდო. კუბის, პანამის, პუ[illegible]ოსა და დომინიკანთა რესპუბლიკის წარმომადგენლების აზრით, ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტა ნეგატიურ გავლენას მოახდენს მათ ქვეყნებში კალათბურთის განვითარებაზე. არადა, იბა-ს პრეზიდენტი ალდო ნოტარი დარწმუნებულია, რომ პროფესიონალი კალათბურთელები უსათუოდ იასპარეზებენ სიდნეიში.

**მას შემდეგ,** რაც მალაიზიამ მიიღო 1998 წლის თანამეგობრობის თამაშების მოწყობის უფლება, ამ ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს, რომ იტყვიან, მადა გაეხსნა და გადაწყვიტა მომავალი საუკუნის ორ დიდ კომპლექსურ ღონისძიებას უმასპინძლოს. ერთი მათგანია 2006 წლის აზიის თამაშები, მეორე — 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადა.

**ავსტრალიის** სპორტსმენთა დელეგაცია ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისის ბოლო ეტაპს ჩაატარებს ცხელ და მაღალი ტენიანობის რეგიონში. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აზრით, ეს გარკვეულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ხელმძღვანელობა მიდის ასეთ ხარჯებზე. საქმე ის გახლავთ, რომ როგორც სინოპტიკოსები იუწყებიან, ოლიმპიადის პერიოდში ატლანტის რეგიონში მაღალი სიცხე და ჭარბი ტენიანობა იქნება.

# ჯეიმს ნეისმითი — კალათბურთის ფუძემდებელი

**კალათბურთს სპორტის ბევრ სხვა სახეობასთან შედარებით გაუმართლა — მან იცის თავისი გამომგონებლის ვინაობა და საიუბილეო თარიღებში მას დამსახურებულ პატივს მიაგებს. ამ წერილში მოგითხრობთ, თუ როგორ წარმოიშვა კალათბურთი და სრულყოფის რა გზა გაიარა.**

**ჯეიმს ნეისმითი**, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნატურალიზებული კანადელი დაიბადა ალმონტში (კანადა) 1861 წელს (გარდაიცვალა 1939 წ) რვა წლისა იყო, როცა დაობლდა. აღზარდა ბიძამ, ადგილობრივი ეკლესიის მღვდელმა, სათნო და გულმოწყალე პიროვნებამ. ჯეიმსს ბავშვობიდან ღვთისადმი მორჩილებასა და სამსახურს ასწავლიდნენ, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი ფიზიკურად განვითარებული ყოფილიყო. მაკჯილის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის დროს გამოირჩეოდა, როგორც მებრძოლი და უშიშარი რაგბისტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ნეისმითი აშშ-ში გადადის საცხოვრებლად და სწავლას განაგრძობს სპრინგ ფილდის (მასა ჩუსეტსის შტატი) ახალგაზრდა ქრისტიანთა კოლეჯში. კოლეჯის ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც წვრთნიდა ამოს ალონზო, განთქმული იყო მთელს შტატებში და ნეისმითიც, როგორც ძლიერი ფეხბურთელი, ჩარიცხეს შემადგენლობაში. იგი არ იყო მძიმე, სულ რაღაც 70 კილოგრამს იწონიდა, მაგრამ სულ მალე გუნდის სული და გული, მთავარი მოთამაშე გახდა. სხვათა შორის, პირველად ალონზომ შენიშნა, რომ ნეისმითი „უბრალო ილეთებსაც კი განსაკუთრებული არტისტიზმითა და გრაციით ასრულებდა". აი, სწორედ ეს გახდა მისი უჩვეულო პოპულარობის მიზეზი.

სწავლის დამთავრების შემდეგ იგი დატოვეს კოლეჯში ფიზიკური აღზრდის ინსტრუქტორად. ზამთარში კოლეჯის სპორტული ცხოვრება კვდებოდა. მართალია, სტუდენტები ზოგჯერ ეზოში გაჰყავდათ სამეცადინოდ, მაგრამ მოსაწყენი გაკვეთილები არავის მოსწონდა. დარბაზში კი სანახევროდ ბავშვურ თამაშებს აწყობდნენ და მოზრდილი ყმაწვილები ამის გამო სავსებით სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

ერთ დღეს კოლეჯის დირექტორმა თავის კაბინეტში დაიბარა ნეისმითი. გაიმართა ისტორიული დიალოგი, რომელიც მოგვიანებით საფუძვლად დაედო თანამედროვე კალათბურთის ისტორიას.

— მისტერ ნეისმით! ჩვენ სერიოზული პრობლემის წინაშე ვართ. სტუდენტებს სჭირდებათ რაიმე ისეთი, რაც გააძლიერებდა მათ ინტერესს ფიზიკური აღზრდისადმი.

— სავსებით გეთანხმებით.

— რახან ასეა, იქნებ თქვენ, მისტერ ნეისმით, მოიგონოთ რაიმე თამაში დარბაზისთვის?

— როგორი უნდა იყოს ფორმა?

— მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული, თქვენს ფანტაზიაზე, უნარზე.

— ვეცდები.

ერთი კვირის შემდეგ ნეისმითმა მართლაც გამოიგონა თამაში, რომლის მთავარი მიზანი კალათში ბურთის ჩაგდება იყო. ამ თამაშს მან კალათბურთი უწოდა. იგი გონებამახვილი კაცი იყო, ოდნავ ექსცენტრული, ოდნავ ფიცხი, მაგრამ უმთავრესად უდრეკი, შეუპოვარი და გამოკვეთილად ინდივიდუალისტი. ამიტომაც დავალება სწრაფად შეასრულა, თანაც ყველაფერი დეტალურად გათვალა, კალათი ატმებისთვის, რომელიც პირველ ხანებში ბურთის ჩასაგდებად იყო განკუთვნილი, ნეისმითს სასწავლებლის დარაჯმა სტებინსმა შესთავაზა. მერე მან მეორე, ზუსტად ისეთი 30 კალათი მოიტანა.

1892 წლის 20 იანვარს თეოლოგიისა და მედიცინის დოქტორმა, ფიზიკური აღზრდის მაგისტრმა ჯეიმს ნეისმითმა სტუდენტებს აუხსნა თავისი გამოგონების შინაარსი. პირველი ოფიციალური მატჩის თარიღად რამდენიმე ვარიანტს ასახელებენ, მაგრამ ამას, როგორც ჩანს, არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი ისაა, რომ შეხვედრა შედგა და იგი დამთავრდა ანგარიშით 2:0. კალათბურთის ისტორიაში პირველი ქულის ავტორი ნიუ-ბრელ-



ჯეიმს ნეისმითი

ფორდის მკვიდრი უილიამ ჩეიზი გახლავთ. სწორედ მისმა გუნდმა მოიგო იმ ღირსსახსოვარ დღეს პირველი ოფიციალური საკალათბურთო მატჩი ანგარიშით 2:0. სხვათა შორის, დაახლოვებით ამ პერიოდში შედგა კოლეჯის მასწავლებელთა და სტუდენტთა საჩვენებელი მატჩიც, რომელიც ახალგაზრდებმა მოიგეს — 5:1.

კალათბურთმა მოკლე ხანში „დაიპყრო" ჯერ შეერთებული შტატები, მერე კი მთელი მსოფლიო. თავად ნეისმითმა მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება კალათბურთის სრულყოფასა და თამაშის დახვეწას მოახმარა. ნეისმითი გარდაიცვალა 1939 წლის 28 ნოემბერს. ამ დიდებული პიროვნების ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი სახელი მიაკუთვნეს სპრინგფილდის კოლეჯის საკალათბურთო დიდების სასახლეს.

ამას წინათ, გამოვიდა ბერნის ლარსონ უების საინტერესო წიგნი სათაურით „კალათბურთის გამომგონებელი ჯეიმს ნეისმითი", რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ თვითონ ნეისმითს კალათბურთი მხოლოდ ორჯერ უთამაშია და საკმაოდ უხეშობითაც გამოირჩეოდა თურმე. ნეისმითს ასეთი რამ ჰქონია ნათქვამი: ერთხელ, როცა ვერაფერი მოვუხერხე, მეტოქეს მივიმწყვდიე იგი კუთხეში და კეტჩის ილეთით გავუმასპინძლდიო. სხვათა შორის, თვითონ გამომგონებელი უხეშობის ყოველგვარ გამოვლინებას სასტიკად ებრძოდა. ამის ერთი დასტური ისიც გახლავთ, რომ მან „ფეხბურთის დამცველი მუზარადი" გამოიგონა.

ნეისმითს ეკუთვნის კალათბურთის 13 ძირითადი წესი:

2.1. ბურთს შეიძლება მიეცეს ნებისმიერი მიმართულება ერთი ან ორივე ხელის გამოყენებით.

2.2. მოთამაშეს არა აქვს უფლება ირბინოს ბურთით ხელში.

2.3. აკრძალულია ხელის კვრა, ფეხის გამოდება. ხელის კვრისთვის მოთამაშე ისჯება სამი საჯარიმო სროლით, ფეხის გამოდებისთვის კი თამაშს სტოვებს მანამ სანამ მოწინააღმდეგე გუნდი ბურთს არ მოათავსებს კალათში. წინასწარგანზრახული უხეშობის ჩამდენი სტოვებს მოედანს. ოღონდ მის ნაცვლად ვეღარავინ შემოვა.

2.4. აკრძალულია ბურთის გადაცემა მუშტით.

2.5. ბურთი მოთამაშეს უჭირავს ერთი ან ორი ხელით. ფეხით თამაში აკრძალულია.

2.6. მოთამაშე ისჯება პერსონალური ჯარიმებით თუ დაარღვევს 2,3,4 და 5 პუნქტებს.

2.7. გუნდი, რომლის წევრიც ზედიზედ სამჯერ დაარღვევს წესს, ჯარიმდება 2 ქულით მეტოქის სასარგებლოდ.

2.8. გუნდს ერიცხება ორი ქულა, თუ ბურთი ჩავარდა კალათში. თუ ბურთი შეჩერდა კალათის რგოლზე და დაცვაში მყოფი მოთამაშე გადმოაგდებს მას, ბურთი ჩაგდებულად ითვლება.

2.9. მოედნის ფარგლებს გარეთ გასული ბურთი შემოაქვთ გვერდითი ხაზიდან 5 წამის განმავლობაში. თუ ეს წესი დაირღვა ბურთი მოწინააღმდეგეს გადაეცემა.

10 ტრიბუნაზე მსხდომი მსაჯი ითვლის ჯარიმებს. თუ ერთ მოთამაშეს დაუგროვდა სამი ჯარიმა ტრიბუნაზე მსხდომი მაშინვე ამცნობს ამის შესახებ მოედნის მსაჯს.

11. მოედნის მსაჯს უფლება აქვს ჩათვალოს ან არ ჩათვალოს სროლა, გადაწყვიტოს ვის ეკუთვნის ბურთი, თვალყური ადევნოს 5 წამის წესის დაცვას.

12. თამაში შედგება ორი 15-წუთიანი ტაიმისაგან.

13. გუნდი, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს გამარჯვებულად ცხადდება. ფრე კალათბურთში დაუშვებელია. თამაში მოგებამდე უნდა გაგრძელდეს.

კალათბურთელთა პირველ მატჩში (და შემდეგაც) მონაწილეობდა 18 მოთამაშე, ცხრა-ცხრა თითოეულ გუნდში. ეს მოხდა იმიტომ, რომ იმ დღეს მეცადინეობაზე კოლეჯში მხოლოდ 18 სტუდენტი გამოცხადდა. 1895 წლიდან კი ყოველი გუნდის შემადგენლობა 5 მოთამაშით განისაზღვრა. 1900 წელს ატმის კალათი რკინის ბადეებიანმა რკალმა შეცვალა, რომელსაც არ ჰქონდა ფსკერი. სიახლეები კალათბურთის წესებს დროთა განმავლობაში ემატებოდა. თუმცა, ნეისმითის პირველ კოდექსს მაინცდამაინც დიდი ცვლილება არ განუცდია.

---

ჩაუქრობელი ვარსკვლავები

# ელჯინ ბეილორი

**კალათბურთის ეროვნული ლიგის ისტორიაში საუკეთესო ტანმორჩილი კალათბურთელი, თუ ტანმორჩილი შეიძლება ეწოდოს 193 სანტიმეტრის სიმაღლის გიგანტს, რომელიც ამასთან, 100 კილოგრამზე მეტს იწონიდა. 14 წელი გაატარა ნბა-ში და ათჯერ შეიყვანეს საუკეთესო კალათბურთელთა პირველ ხუთეულში, თერთმეტჯერ კი, „ყველა ვარსკვლავის" გუნდის ღირსებას იცავდა.**

ელჯინ ბეილორზე, ისევე როგორც, ნბა-ს მთელ ისტორიაზე, მხოლოდ აღმატებული ხარისხით შეიძლება საუბარი, ვინაიდან ბეილორი თავისთავად პროფესიული კალათბურთის იდეალს წარმოადგენდა. — მისი საუკეთესო თვისებების ხორცშესხმასა და განსახიერებას. მაგრამ, იგი, ამავე დროს, ერთგვარად ტრაგიკული პიროვნება იყო, ვინაიდან გამოდიოდა რა ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში („ლოს-ანჯელეს ლეიკერსში") ვერც ერთხელ ვერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი და სპორტიდან ამ დიდი გულისტკივილით წავიდა.

პირველი ბურთი ბეილორმა კალათში მოათავსა, როცა თავისი პირველი ოფიციალური მატჩის დაწყებიდან 3 წამი არც იყო გასული. ორი სეზონის შემდეგ კი იგი იმდენად ავტორიტეტული კალათბურთელი გახდა, რომ „ლეიკერსის" ხელმძღვანელობას ბეილორში ხუთ-ექვს კალათბურთელს სთავაზობდნენ. ამასთან დაკავშირებით, ლოს-ანჯელესელთა მენეჯერს ერთხელ უთქვამს: „მე რომ ბეილორი გავყიდო, მაშინ მთელი გუნდი უნდა მივაყოლო მას, მეც ქალაქიდან წავიდე, თორემ გულშემატკივრები ცოცხალს არ დამაყენებენ".

რა თქმა უნდა, ელჯინ ბეილორი ნბა-ს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი იყო. ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის კენტ შულტერის ერთითვისწინანდელ ანკეტაში, რომელშიც პროფესიული კალათბურთის პირველი სპეციალისტები მონაწილეობდნენ, ყველა დროის საუკეთესო ფორვარდთა სიაში ელჯინ ბეილორი მეორე ნომრად არის დასახელებული ლერი ბიორდის შემდეგ.

ბეილორზე თანამედროვენი ამბობდნენ, რომ იგი ერთსადაიმავე დროს ძალასაც განასახიერებდა და სისწრაფესაც, იყო საოცრად მსუბუქი და დახვეწილი, ზოგჯერ გრაციოზულიც კი. მას შეეძლო ბრწყინვალე პასის მოცემაცა და დრიბლინგით მთელი მოედნის გავლა. ფარზე იბრძოდა თავგამოდებით და მუდამ წარმატებით, ვინაიდან ბრწყინვალე ნახტომი ჰქონდა.

იგი დიდხანს პირველი და ერთადერთი კალათბურთელი იყო ნბა-ში, რომელმაც თავის გუნდს ერთი მატჩის განმავლობაში 64 ქულა შესძინა. მოგვიანებით ეს რეკორდი თვითონვე გააუმჯობესა, როცა 38 წუთში 74 ქულა დააგროვა.

ყველაფერი კი დაიწყო ვაშინგტონში. ბეილორი დაიბადა ამ ქალაქში 1934 წლის 16 სექტემბერს. სკოლაში მან საუკეთესო კალათბურთელის სახელი მოიხვეჭა. მერე სიეტლის უნივერსიტეტში შევიდა და იქ უკვე „ეროვნული სიამაყე" გახდა.

საუნივერსიტეტო კალათბურთში დიდხანს არ დარჩენილა — მეორე წელს პროფესიონალებში გადავიდა და თამაში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსში" დაიწყო. პირველსავე სეზონში განაცვიფრა სპეციალისტები მრავალმხრივი და აზრიანი თამაშით. მალე მას მიენიჭა ნბა-ს საუკეთესო ახალბედას სახელი, რაც პროფესიულ კალათბურთში დიდ დაფასებად ითვლება. ერთი წლის შემდეგ „ყველა ვარსკვლავის" წევრადაც დაასახელეს, ეს უკვე ოფიციალურ აღიარებას ნიშნავდა.

ბეილორზე, როგორც ყველაზე საშიშ და სახიფათო თავდამსხმელზე, ნბა-ში ნადირობა იყო გამოცხადებული. და, ამიტომაც, ხშირად იღებდა ტრავმებს. 1965 წელს კი მუხლის დაზიანების შემდეგ ექიმები ეჭვობდნენ კიდეც შესძლებდა თამაშის გაგრძელებას თუ არა. მაგრამ ელჯინი დაბრუნდა კიდეც კალათბურთში და, როგორც სპეციალისტები აღნიშავდნენ, უკეთაც დაიწყო თამაში.

1971 წელს უკვე მეთხე ათეულ წელს მიღწეულმა თავი დაანება კალათბურთს. ტრავმა მას ძველებურად თამაშის საშუალებას აღარ აძლევდა.



ელჯინ ბეილორის ერთი ღირსება ისიც გახლდათ, რომ ორივე ხელს ერთნაირი ოსტატობით ხმარობდა. ამ ფოტოზე ბეილორი (№22) მარცხენა ხელით, მალალ ნახტომში წარმატებით აგვირგვინებს შეტევას სამი მეტოქის გარემოცვაში.

## ნბა-ს ამბები

**სეზონისწინა** საკონტროლო მატჩი „მაიამისა" და „ორლანდო მეჯიკს" შორის ამ უკანასკნელმა მოიგო ანგარიშით 106:91. მაგრამ ეს გამარჯვება ორლანდოელებს ერთობ ძვირად დაუჯდათ. გუნდის ლიდერმა შაკილ ო'ნილმა ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, თითის ტრამვა მიიღო, რომლის მკურნალობას ექიმების ვარაუდით 6-8 კვირა დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ო,ნილი ჩემპიონატის სასტარტო მატჩებს გამოსტოვებს. ტრავმა „ორლანდოს" ლიდერს მეტ გეიგერთან ბრძოლაში მოუვიდა. მაიამელ კალათბურთელს შეეძლო უფრო ფრთხილად მოპყრობოდა მეტოქეს, მაგრამ ვინაიდან არ გამოიჩინა ჯენტლმენობა, იგი დაჯარიმდა 10 ათასი დოლარით.

**1995-96 წლების** სეზონში ნბა-ს მოთამაშეთა საშუალო წლიური ხელფასი 2 მილიონი დოლარი იქნება (პატრიკ იუნგისა — 10 მილიონი), მწვრთნელის საშუალო წლიური ხელფასი 1 მილიონ დოლარს შეადგენს (პეტ რეილისა — 3 მილიონს). ერთ-ერთი ყველაზე ძვირი გუნდი ნბა-ში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსია". იგი 300 მილიონ დოლარადაა შეფასებული. „ნიუ-იორკის" თამაშზე დასასწრები ბილეთის საშუალო ფასია 50 დოლარი. ყველაზე ძვირფასი ბილეთი „მედისონ სკვერ გარდენის" ლოჟაში 1000 დოლარი ღირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პროფესიულ რინგზე

ამ დღეებში მაროკოდან მშობლიურ ქალაქ პერპინიაში გადმოასვენეს და პომპეზურად დამარხეს ლეგენდარული ფრანგი მოკრივე მარსელ სერდანი. 1949 წლის 28 ოქტომბერს, მაროკოში სტუმრად მყოფი სერდანი ავტოკატასტროფაში მოჰყვა და დაიღუპა. მაშინ იგი იქვე დაკრძალეს. სერდანი 40-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე იყო საშუალო წონაში. იგი ფლობდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. იყო ევროპის ჩემპიონი.

მაიკ ტაისონის ამასწინანდელი მეტოქე პიტერ მაკნილი მთლად წყალწაღებული მოკრივე არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, როგორც საზღვარგარეთის საინფორმაციო სამსახურები იუწყებიან, ამ დღეებში ბოსტონში გამართულ სარეიტინგო ბრძოლა მეორე ამერიკელ მაიკლ სემთან მან ჩინებულად წარმართა და მეორე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა მეტოქე. მაკნილმა სარეიტინგო სიაში რამდენიმე საფეხურით აიწია.

არ არის გამორიცხული, რომ მერმის 16 მარტს მაიკ ტაისონმა გამართოს მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის. ყოველ შემთხვევაში, მან უკვე მიმართა ოფიციალური თხოვნით ვბს-ს ხელმძღვანელობას, რომ მისი მატჩი მსოფლიოს ამჟამინდელ ჩემპიონ ფრენკ ბრუნოსთან სწორედ 16 მარტს დანიშნონ. ახლა უკვე ყველაფერი ვბს-ს ყოველწლიურ კონგრესზე გადაწყდება, რომელიც წლეულს ტაილანდზეა დანიშნული. კონგრესზე სპეციალურად, ამ საკითხის გადასაწყვეტად მიემგზავრება მოკრივეთა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი ხოსე სულეიმანი. იქ გაირკვევა თუ ვის შეხვდება უახლოეს მომავალში მსოფლიო ჩემპიონი ფრენკ ბრუნო, მაიკ ტაისონს თუ ლენოქს ლუისს, რომელიც ამ ბრძოლის უფლების მოპოვებას სასამართლოს ძალით აპირებს.

## იქნებ არც სტკივა თითი

პრეს-კონფერენციაზე, რომელიც ტაისონ-მატისის მატჩის გადადებას მიეძღვნა, ჟურნალისტებს ეჭვი შეეპარათ ექსჩემპიონის გადაწყვეტილების სამართლიანობაში. ყოველ შემთხვევაში, მაიკ ტაისონი გამოტყდა, რომ თითი მან ერთი თვის წინ დაიზიანა, მაგრამ ეს ფაქტი არავის გაუმხილა. გაზეთ „სანის“ კორესპონდენტი დარწმუნებულია, რომ მოკრივეთა ეს მატჩი არ გაიმართება საერთოდ. მისი აზრით, ტაისონს ახლა მხოლოდ ფრენკ ბრუნოსთან შეხვედრა აინტერესებს და სხვა არაფერი.

ამასობაში, ბასტერ მატისი ჰკარგავს მისთვის ეგზომ საჭირო ჰონორარს — 800 ათას დოლარს. გარდა ამისა, ფიქრობენ, რომ 10 მილიონიანი ჰონორარი ტაისონს აშკარად ეცოტავა და თითის ტკენაც სწორედ ამიტომ მოიმიზეზა.

## რა ხდება ქვეყანაზე

გამოჩენილი ბულგარელი სპეციალისტი ივან აბაჯიევი, რომელმაც არაერთხელ მიიყვანა ძალოსანთა ეროვნული ნაკრები ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებამდე და ბევრი უმაღლესი კლასის ოსტატი აღზარდა, ამჟამად მუშაობს მწვრთნელად... ბადმინტონის ფედერაციაში. ამ გაუგებარი ტრანსფორმაციის საიდუმლოება იმაშია, რომ აბაჯიევი ახალგაზრდობაში კარგი ბადმინტონისტი ყოფილა. ძალოსნობას იგი ჩამოშორდა ნაკრების წევრთა სადოპინგო სკანდალების შემდეგ, მაგრამ როგორც ამბობენ, ადვილი შესაძლებელია დაუბრუნდეს იგი თავის ძირითად საქმიანობას.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი რალიში, ესპანელი კარლოს საინსი გაისად „ტოიოტას“ მანქანაზე გადაჯდება. ბოლო რბოლას „სუბარუს“ მარკის ავტომანქანით იგი სულ მალე ბრიტანეთში ჩაატარებს. საინსი არ გამოცვლის თავის დამხმარეს, შტურმანად დარჩება ლუის მოია. საინსმა მასთან ერთად ორჯერ — 1990 და 92 წლებში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

კუბის კრივის ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და მწვრთნელი ხოსე ბარიენტოსი დარწმუნებულია, რომ მის მოწაფეებს, ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრებს, გაუჭირდებათ ბარსელონის ოლიმპიური თამაშების წარმატების (7 ოქროს მედალი) გამეორება ატლანტაში. მისი აზრით, ბარსელონის შემდეგ, ჯერ ერთი, გაიზარდა კონკურენტთა რიცხვი და მეორეც, კუბელ სპორტსმენებს შეერთებულ შტატებში მაინცდამაინც არ სწყალობენ, თუმცა ეს მეორე მოსაზრება, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელია.

## ბორის ბეკერი:

## „საშინელება იყო გამოჩენილი პიროვნება 24 საათის განმავლობაში“



რამდენიმე წლის წინათ, უკვე უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა ჩოგბურთში ბორის ბეკერმა მიიღო ხერხემლის ტრავმა, რომელიც პერიოდულად აწუხებს ხოლმე, პირველ ყოვლისა, აუტანელი ტკივილების გამო. არის პერიოდები, როცა ბეკერი ვერც კი დადის, მაგრამ ყველაზე უფრო აუტანელი არის ის, რომ თავის ტრავმაზე იგი ფიქრობს თამაშის დროსაც. ეს კი, ექიმების აზრით, ერთი-ორად ზრდის ხელახალი ტრავმის შანსებს.

ბეკერის ტრავმაზე, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს ფიზიკური დატვირთვები წვრთნისა და შეჯიბრების პერიოდში, აგრეთვე, საკუთარი წონა. სწორედ, ამ დროს სტკივა მას ხერხემალი. ბეკერი მედიკოსების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა, სისტემატიურად უტარებენ მკურნალობის კურსს, მაგრამ ეტყობა, თამაში სიამოვნებას უკვე აღარ ჰგვრის. ჩოგბურთი მისთვის სავალდებულო და ნაკლებად სასიამოვნო სამუშაოა. ასეთი სულიერი დისკომფორტი კი, მედიცინის აზრით, იდეალური ფონია ახალი ტრავმისათვის.

აშშ-ს ჩოგბურთის ასოციაციის სპორტული მედიცინის დირექტორი ჯიმ ლოერი აცხადებს, რომ თუ ბეკერს დროზე ადრე არ უნდა წასვლა სპორტიდან და არ სურს სამუდამოდ დაინვალიდება, სერიოზულ მკურნალობას უნდა მიჰყოს ხელი. თანაც არა მარტო ფიზიკურს, არამედ ფსიქოლოგიურსაც. უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი კი ცოტა სხვაგვარად ფიქრობს. იგი დარწმუნებულია, რომ განიკურნება შეჯიბრებებში ხშირი მონაწილეობით. ლოერსს კი ბეკერის მეთოდი სიგიჟედ მიაჩნია.

დღეს ხშირად იგონებენ ჩოგბურთელის განცხადებას „ევროპიენის“ კორესპონდენტთან საუბარში, როცა იგი 23 წლისა იყო: „ვერ წარმოიდგენთ რა საშინელებაა იყო გამოჩენილი პიროვნება 24 საათის განმავლობაში. მე ეს მდგომარეობა საშინლად მთრგუნავს. ასეთ წუთებში ვფიქრობ ხოლმე, რომ საჭიროა თავი დავანებო ჩოგბურთს. დამიჯერეთ, საოცრად ძნელია პროფესიონალი ჩოგბურთელის გიჟური ცხოვრებით ცხოვრება“.

ბორის ბეკერი, როგორც ჩანს, ადრე მოხუცდა სპორტში.

# ლავრენტი ბერია ფეხბურთელი???



## ერთი ვეტერანის მონაჭორის გამო

სულ ახლახან მოსკოვის პოპულარულ გაზეთ „სპორტ-ექსპრესში“ დაიბეჭდა ინტერვიუ საბჭოთა ფეხბურთის სხვა ცნობილ პატრიარქთან მიხეილ იაკუშინთან, რომელსაც ჯერჯერობით არც მეხსიერება ღალატობს და არც ბებრული მარაზმი ჭირს. იგი დარწმუნებით და კატეგორიულად ამტკიცებს: „ბერიას ფეხბურთი ძალიან უყვარდა, მაგრამ თვითონ არასოდეს არ უთამაშია“; „ბერიას არასოდეს არ უთამაშია ფეხბურთი“.

ვთქვათ, მ. იაკუშინმა არ იცის თამაშობდა თუ არა ლ. ბერია ფეხბურთს. ის მოსკოვში ცხოვრობდა, ბერია — თბილისში, ამდენად ადვილი დასაშვებია, რომ მათი ადრეული გზები არ დამთხვევია ერთმანეთს, ამიტომაც მოსკოველმაც არაფერი იცოდა თბილისელი სუპერჩეკისტის ამბებისა, მაგრამ არ დავიზარეთ და მივაკითხეთ თბილისელ სპორტის ვეტერანს, დამსახურებულ ოსტატს ლევან ფალავანდიშვილს, 90 წელს მიტანებულ კაცს.

— ბერიას ფეხბურთელობა მე არ გამიგია, — თქვა მან, — მინდორზე იგი არ მინახავს, არც მსმენია ასეთი ვინმე — ბერია თუ იყო რომელიმე გუნდში. ძველი დინამოელი ვარ, თვითონაც ვთამაშობდი ბურთს და ყველა ფეხბურთელს ვიცნობდი „დინამოშიც“, „დუროუჯშიც“, არმიელთა გუნდშიც. ვინ ჰყავს მხედველობაში სტაროსტინს, წარმოდგენა არა მაქვს, აი სროლის თაობაზე კი გეტყვით: ლენინის ძველ სტადიონზე იყო სასროლი ტირი, იქ ხშირად მინახავს ლავრენტი ბერიაც და მისი მეუღლე ნინაც. ისიც მსროლელი გახლდათ, უტყუარი თვალი ჰქონდა, კარგად ისროდა. შესვენებებს მართავდნენ ხოლმე, გამოვიდოდნენ სასროლეთიდან, ბალახზე გაზეთს დააფენდნენ, ისვენებდნენ, საუბრობდნენ. ჩვენ, ახალგაზრდები, იქვე ახლომახლო ვტრიალებდით, არავინ არ გვდევნიდა და არ გვიშლიდა ბერიებთან ახლოს ყოფნას. ლავრენტის ბურთის თამაშისა კი პირველად მესმის. ტყუილია ეგ ყველაფერი.

მერე ცნობილ ფოთელ ვეტერან ფეხბურთელს, თბილისის „დინამოს“ ყოფილ მარცხენა გარემარბს ასლან ხარბედიას გამოვესაუბრეთ:

— „დინამოში“ საკმაო ხანს ვიყავი, რვა წელიწადი, ლავრენტი ბერიას ხშირად შევხვედრივარ გუნდის თათბირებზე, კრებებზე, მაგრამ არც მაშინ და არც მერე მისი ფეხბურთელობისა არაფერი მსმენია, იმ თათბირებზეც კრინტიც არავის დაუძრავს ამის თაობაზე. მონაჩმახია ეს ყველაფერი. მოსკოვის გუნდი რომ თბილისში ჩამოსულიყო, ასე უჩუმრად და არალეგალურად თამაში არ ჩაივლიდა, გაზეთებშიც იქნებოდა ინფორმაცია, რაიმე ცნობა. აქ მას ქალაქის რომელიმე ცნობილი, ძლიერი მეტოქე უნდა შეხვედროდა, ასეთები ჩვენ ვიცით, მაგრამ ბერიას ხსენება იქ საერთოდ არ არის. სტაროსტინი ან ცრუობს, ან რაღაც ეშლება. გასაკვირი არაფერია: ძმები სტაროსტინები 1942 წელს დააპატიმრეს, მათი აზრით — უსამართლოდ, ძველი ბოღმაც იქიდან შემორჩენია.

ძველმა დინამოელმა მიშა ჯოჯუამ იხუმრა: „იქნებ ლავრენტი ბერია რომ ნახევარმცველად თამაშობდა, თბილისელთა კარში სტალინი იდგა!“

მოვინახულეთ, აგრეთვე, უშიშროების ძველი მუშაკი ვახტანგ შარაშიძე. აი მისი სიტყვები:

— ოციანი წლების ლავრენტი ბერიას ყოველი ნაბიჯი ზედმიწევნით ზუსტად ვიცით, მუშაობდა და სწავლობდა ბაქოში, შემდეგ თბილისში, დაპატიმრებულიც იყო ბოლშევიკური საქმიანობისთვის, ქუთაისის ციხეში იჯდა, მერე დიდი მასშტაბის ჩეკისტი გახდა, უზარმაზარ საქმეებს ატრიალებდა უშიშროების სამსახურში, დაჯილდოებული იყო საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ორდენებით, ერთი სიტყვით, უკვე მაშინ გამოჩენილი პერსონა გახლდათ, ამიტომაც გულმავიწყობით მისი ვინმესთან არევა შეუძლებელია. ამას გარდა, ლ. ბერია იმ დროს მოუხეშავი და ტლანქი კი არა, პირიქით, გამხდარი, სიფრიფანა აგებულებისა გახლდათ. ასე რომ, ყველაფერი ეს სტაროსტინის შეთხზული სიცრუეა და მონაგონი. ბუცებში და გეტრებში ბერია არავის უნახავს.

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ძველი განთქმული ფეხბურთელი გაიოზ ჯეჯელავა:

— ბერია — ფეხბურთელი? სისულელეა. მას რომ ისეთ მაღალ დონეზე ეთამაშა, ზოგიერთი მაშინდელი პოეტის ამბავი რომ ვიცი, პოემებს დაწერდა. არა, ლავრენტი ბერიას ფეხბურთი არ უთამაშია, ისე კი დინამოელთა უშუალო შეფი იყო. ნამდვილად უნარიანი ორგანიზატორი და გამჭრიახი კაცი. ნიკოლოზ სტაროსტინს მე კარგად ვიცნობ. მოიტყუა ეს ამბავი, მოჭორა, ძველი ჯავრი არ ასვენებს.

ახლა ვილა ვეძიოთ? ვისაც კი თუნდაც მცირე ურთიერთობა მაინც ჰქონია ძველ ფეხბურთთან, მივაკითხეთ, ქალაქში არ დაგვიტოვებია არავინ, ძველი ჟურნალ-გაზეთებიც ვქექეთ. ამაოდ დავშვრით!

ერთი სიტყვით, ნება დაგვრთოს პატივცემულმა ნიკოლოზ სტაროსტინმა მის ამ „მოგონებას“ აშკარა ინსინუაცია და მიუნჩაუზენის მონაჩმახი რომ ვუწოდოთ, ისე კი, თუ ვინმეს რამე გსმენიათ ლავრენტი ბერიას ფეხბურთელობაზე, ისევ და ისევ გთხოვთ — არიქა, გვიშველეთ და მართალი ამბები მოგვაწოდეთ.

მაინც ერთი რამაა საოცარიც და საყურადღებოც: ვინ იყო ლავრენტი ბერია? მსხვილი კალიბრის სახელმწიფო მოღვაწე, უშიშროების სახალხო კომისარი, მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, პოლიტბიუროს წევრი, მარშალი, მძლეთამძლე გამგებელი, მისი სახელის გაგონებაზე ხალხს შიშის ზარი იპყრობდა, გრანდიოზულ საქმეებს ატრიალებდა, მსოფლიო ისტორიაში დიდად ცნობილი ადამიანი იყო, თავის პროფესიაში მთელი ეპოქა შექმნა და, თურმე, ეს კაცი თავისი დღე და მოსწრება უკურნებელი შურით ყოფილა შეპყრობილი (შური საბა-სულხანს ბრწყინვალედ აქვს განმარტებული: მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა) — რაღა მეშველება ნიკოლოზ სტაროსტინი ჩემზე უკეთ თამაშობდა ფეხბურთს, ერთხელ თბილისში გამექცა კიდეცო. ბერიას რანგის ბუმბერაზ პერსონას რა ჰქონდა სტაროსტინის შესაშური? ცხადია, ნიკოლოზ სტაროსტინს რაღაც გაუგებარი იდეა ფიქსი ჭირს და ვერა და ვერ ამოიგდო იგი თავიდან.

ახლა სხვა ამბავზე ვილაპარაკოთ. ესეც ჭორისა და ბაზრული კატეგორიის ცილისწამებას ეხება, ესეც ინსინუაციის ტიპიური ნიმუშია და მან არ შეიძლება წყენისა და აღშფოთების სავსებით ბუნებრივი რეაქცია არ გამოიწვიოს.

ავთანდილ ჭკუასელზე გვინდა მოგახსენოთ.

**1981** წელს გამოვიდა ვინმე ანატოლი სალუცკის წიგნი „ვსევოლოდ ბობროვი“. არ შეიძლება ამ წიგნმა არ დაგაინტერესოთ, ვინაიდან მისი ადრესატი, მთავარი მოქმედი პირი, ყველა დროის გამოჩენილი კორიფე, უდიდესი ფეხბურთელი და ჰოკეისტი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დიდებული ფიგურა, სწორუპოვარი მოთამაშე გახლავთ. ვსევოლოდ ბობროვის გენიალური თამაში ჭეშმარიტ აღფრთოვანებებს იწვევდა მოსკოვშიც და ლენინგრადშიც, კიევშიც და თბილისშიც, ჰელსინკშიც და ბელგრადშიც, პარიზშიც და პრაღაშიც, ყველგან.

არ დამავიწყდება როგორი იუმორით იხსენებდა თბილისის „დინამოს“ ძველი მცველი, სპორტის დამსახურებული ოსტატი არჩილ კიკნაძე:

— თბილისში ვეთამაშებოდით ცდკა-ს, **1949** წელი იყო. დავმარცხდით სასტიკად — **1:6**. ერთ მომენტში ბობროვი შემოიჭრა ჩვენს საჯარიმო მოედანზე, ზედიზედ მოატყუა ერთი მცველი, მეორე, მესამე, საშველად გავეშურე, რაღაც ფინტი გამიკეთა, მიწაზე გავიშხლართე, შემდეგ მეკარეც გამოიტყუა კარიდან, ისიც მიწაზე გაგორა, მერე კი დინჯად გაგზავნა ბურთი ბადეში და ჩუმად წაიდუდღუნა — მოლოდცი, რებიატა! რაღა დამრჩენოდა, წამოვდექი, და ხელი გავუწოდე. გაიცანი — ნიჩევო, არჩილ დოროგოი, ბივაეტ-ო.

კიდევ ერთი მეტად საინტერესო შემთხვევა ამ ფეხბურთელთან დაკავშირებით. ვსევოლოდ ბობროვი იმ დღეს თბილისში თამაშობდა. მიაქციეთ ყურადღება — გუნდს კი არ ვასახელებ, ვამბობ ბობროვი თამაშობდა-მეთქი, როგორც, ვთქვათ, ლემეშევი მღეროდა, გილელსი უკრავდა, პლისეცკაია ცეკვავდა ან პოდუბნი ჭიდაობდა. ეს სულ ერთი ელიტარული რანგია. შემოიჭრა იგი ჩვენს საჯარიმო მოედანზე, მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე. მესამე მცველი უკან გამოედევნა და მაისურში ჩააფრინდა ბობროვს. ასე ზურგზე აკიდებული მცველი ათრია მოსკოველმა ერთხანს, მერე თავისი ეს სლალომი გოლით დაამთავრა და წყნარად მიუბრუნდა მეტოქეს: „ოტსტან, სლუშაი!“

ნამდვილი სეირი კი იყო. ვისაც ეს თამაში უნახავს, არ შეიძლება ეს საოცარი ეპიზოდი დაავიწყდეს. ძველი გულშემატკივრები დღესაც არაკად ყვებიან ამ ამბავს.

ერთი სიტყვით, ვისაც ვსევოლოდ ბობროვის თამაში უნახავს, არ შეიძლება ის დაივიწყოს. და, აი, როცა ა. სალუცკი ჰელსინკის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირზე ლაპარაკობს, ხშირად იხსენებს ავთანდილ ჭკუასელს და საბჭოთა კავშირის ნაკრების დამარცხებას იუგოსლავიელებთან ჩვენი მარცხენა გარემარბის სრულ უნიათობას მიაწერს, მას რატომღაც ხან „ჩხუასელად“, ხანაც ჩხაუსელად“ მოიხსენიებს და გვიმტკიცებს „მან სრულიადაც არ იცოდა რუსული და არაფერი გაეგებოდა ჩვენი“.

???

ვინ არ იცოდა რუსული, ავთო ჭკუასელმა? სასაცილოა პირდაპირ! ზემელზე გაზრდილმა კაცმა, ქალაქის პრესტიჟულ სკოლებში ნასწავლმა, უნივერსიტეტის სტუდენტმა, საფეხბურთო მინდვრებზე გამოწრთობილმა და გამოქექილმა ყმაწვილმა იმდენი რუსული არ იცოდა, რომ თანაგუნდელისა რამე გაეგო? როგორ გეკადრებათ! მე კარგად ვიცნობდი ავთანდილ ჭკუასელს და მისი რუსულიც ვიცი. თანაც რა ასეთი ძველსლავური რუსული გაახურეს მინდორზე საბჭოთა ფეხბურთელებმა ჭკუასელს რომ არ გაეგო! მატჩის დროს მოთამაშეები სულ ორი-სამიოდე სიტყვით თუ მიმართავენ ერთმანეთს — ეგაა და ეგ.

ცხადია, ეს „ჩხაუსელი“ იმ ანატოლი სალუცკის ბრიყვული ლაფსუსია, უმგვანი ლიტერატურული ხერხი, მაგრამ საოცარია — ნუთუ ამ წიგნს არ ჰყავდა ხეირიანი გამსწორებელი და რედაქტორი, არ ჰყავდა პატრონი?

და აქ კვლავ გვინდა მივმართოთ მიხეილ იაკუშინს. კორესპონდენტის შეკითხვაზე ჰელსინკის საფეხბურთო ტურნირის თაობაზე, იგი ავტორიტეტულად ამბობს:

— ზოგიერთმა ავტორმა ის ვერსია წამოაყენა, რომ ავთანდილ ჭკუასელი ნაკრებში შეიყვანეს, როგორც საბჭოთა სპორტსმენთა საუკეთესო მეგობრის (სტალინი) თანამემამულე. სისულელეა ყოველივე ეს. სტალინი სპორტით არ იყო დაინტერესებული. საბჭოთა გუნდის მცველმა ი. ნირკოვმა თქვა, რომ ჭკუასელს თითქმის არაფერი ესმოდა რუსულისა, მთელი თამაშის განმავლობაში უაზროდ მოძრაობდა ფლანგზე, სარგებლიანობა კი არ მოჰქონდა არავითარი. შემდგომში ი. ნირკოვმა უარი განაცხადა ამ სიტყვებზე — ჩემი ნათქვამი არ არისო. ეტყობა ვიღაცას უნდოდა მას რომ ეს ეთქვა. ჭკუასელი კი წამოვწიე პირადად მე, როგორც მწვრთნელმა და ვიფიქრე, ახალგაზრდა, სწრაფი ფეხბურთელი, რომელსაც კარგი სპორტი ჰქონდა, სასარგებლო გამოდგებოდა. მან ამ მატჩში, რასაკვირველია, ვერ გამოავლინა ყველა თავისი საუკეთესო თვისება, მაგრამ ყველაფერი რომ მას დააბრალო, არ შეიძლება. გარდა ამისა, ისიც სისულელეა, რომ ჭკუასელმა რუსული არ იცოდა. ვიღაცამ მაღალ ინსტანციაში, ეტყობა, თქვა „დაშალეთ ცდკა“. გაურკვეველია, შესაძლოა ეს სტალინმა თქვა, მაგრამ ვინ მოისმინა მისი სიტყვები? ყოველგვარი ინფორმაცია მაშინ ზევიდან მესამე პირთაგან მოდიოდა და სავსებით შესაძლებელია, ხშირად ამას „გაფუჭებული ტელეფონის“ ხასიათი ჰქონდა. სტალინი არ იყო ფეხბურთის გულშემატკივარი და საერთოდ არც დაინტერესებულა სპორტის ამ სახეობით. ეს ისეთივე სისწორეა, როგორც ის, რომ ბერიას არასოდეს არ უთამაშია ფეხბურთი“.

აი, ასეთია ამ ორი მონაჭორის ისტორია და თუ მკითხველი სხვაგან კიდევ რამეს წააწყდება ამ ამბების თაობაზე, ვთხოვთ მ. იაკუშინის სიტყვებს უფრო ენდოს, ვიდრე ნ. სტაროსტინისა და ა. სალუცკისას. ეს წერილიც ამ საქმეს ემსახურება.

ბიჭიკო ქორქია

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ №42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოლდავური ფეხბურთი დღეს

**ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებათა სტარტზე ყველა საკვალიფიკაციო ჯგუფში უმთავრესი სენსაცია მოახდინა მოლდოვას ნაკრებმა, რომელსაც ხეირიანად არავინ იცნობდა. ჯერ იყო და მოლდაველებმა სრულიად მოულოდნელად გაიმარჯვეს თბილისში (1-0), შემდეგ კიშინიოვში უელსის ავტორიტეტულ ნაკრებსაც მოუგეს (3-2) და ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერები გახდნენ. ყოველივე ეს ფეხბურთის სამყარომ დიდ სიურპრიზად აღიქვა.**

შემდგომში ჯგუფის ფავორიტების ძალამ და გამოცდილებამ საბოლოოდ თავისი სიტყვა თქვა, მოლდოვას ნაკრებმა მომდევნო შეხვედრები წააგო, სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილამდეც დაეშვა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, არც ერთი მატჩი უბრძოლველად არ დაუთმია. 15 ნოემბრის შეხვედრასაც საქართველოს ნაკრებთან მისთვის არავითარ შემთხვევაში ფორმალური მნიშვნელობა არა აქვს: თუ გაიმარჯვეს, მოლდაველები თავს აღწევენ ბოლო ადგილს, ამ „პატივს" კი უელსელებს ან ალბანელებს დაუთმობენ.

რას ფიქრობს მოლდოვის ნაკრების მწვრთნელი იონ კარასი თავისი გუნდის შესაძლებლობებზე?

— ნიჭიერი ფეხბურთელების მთელი ჯგუფი გვყავს, რომელსაც მოსკოვის „სპარტაკის" მანერისთვის დამახასიათებელი ფეხბურთისკენ აქვს მიდრეკილება. ესენი არიან კურტიანუ, პოგორელოვი, კლეშჩენკო, მიტერევი და სხვები. წინა წლებში ჩვენს გუნდებს, როგორც წესი, მოწვეული სპეციალისტები წვრთნიდნენ, მათ ბირთვსაც სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული ფეხბურთელები შეადგენდნენ. ამიტომ ბევრ ნიჭიერ ადგილობრივ ახალგაზრდას დაწინაურების საშუალება არ ჰქონდა. დობროვოლსკი და დურკაჩი ცნობილი ფეხბურთელები მხოლოდ მაშინ გახდნენ, როცა მოლდავეთი მოწვეულმა მწვრთნელებმა დატოვეს. ისინი რეზერვების აღზრდაზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ როგორმე იმ მომენტისთვის საჭირო მაღალი შედეგის ჩვენებაზე.

ი. კარასმა ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, რომ მოლდავური ფეხბურთის დონე ჯერ მაინც დაბალია:

— გამოირჩევიან მხოლოდ „ზიმბრუ" და „ტილიგული", მთავარი პრობლემა კი ის გახლავთ, რომ ახლა ჩვენს ჭაბუკთა გუნდებს საზღვარგარეთის საერთაშორისო ტურნირებზე ვაგზავნით, ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს, რომლებსაც საზღვარგარეთელი სელექციონერები ადევნებენ თვალს. შევიმუშავეთ ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის განვითარების პროგრამა, თითოეული კლუბი ვალდებულია მოზარდთა საფეხბურთო სკოლა ჰყავდეს. მიხარია, როცა საზღვარგარეთის სოლიდური გუნდები ჩვენი მოთამაშეებით დაინტერესდებიან, გვაქვს მოთხოვნები არა მარტო რუსეთის, არამედ გერმანიისა და ესპანეთის კლუბებიდანაც. სავსებით ცხადია, როცა ძლიერ შეჯიბრებაში მიიღებენ მონაწილეობას, ჩვენი ბიჭები, გაცილებით უფრო მალე დაოსტატდებიან, ვიდრე მოლდავეთის ჩემპიონატში.

ახლა კი ორიოდე სიტყვა სწორედ მოლდავეთის ბოლო, 1994-95 წლების ჩემპიონატზე. საინტერესოა, რომ ეს შეჯიბრება 1992 წლიდან იმართება და ოთხივეჯერ ერთი და იგივე გამარჯვებული ჰყავდა — კიშინიოვის „ზიმბრუ". ჩემპიონატის სრული კონტრასტია ეროვნული თასი, სადაც „ზიმბრუმ" ვერც ერთხელ ვერ გაიმარჯვა. 1992 წელს თასი კომრატის „ბუჯაკს" დარჩა, შემდეგ კი ზედიზედ სამჯერ — ტარასპოლის „ტილიგულს". წლეულს „ტილიგულმა" ფინალში „ზიმბრუს" მოუგო ანგარიშით — 1-0.

ეროვნულ ჩემპიონატში 14 გუნდი მონაწილეობდა. ფაქტობრივად ეს იყო იმავე „ზიმბრუსა" და „ტილიგულის" ორთაბრძოლა, ვინაიდან მესამე ადგილზე გასული ბელცის „ოლიმპია" ჩემპიონს მთელი 10 ქულით ჩამორჩა. „ზიმბრუმ" 67 ქულა მოაგროვა და მხოლოდ ერთი ქულით გაუსწრო „ტილიგულს". ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდა „ზიმბრუს" თავდამსხმელი გავრილიუკი, რომელმაც 26 მატჩში 20 გოლი გაიტანა.

ერთი სიტყვით, მოლდავური ფეხბურთის მესვეურები იმედით უყურებენ მომავალს.

ბიჭი თორელი

## ჟოაო აველანჟი მოსკოვში

მოსკოვში სტუმრად ჩავიდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი, მას თან ახლდა ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი. სტუმრობის მიზანია ლეონარდოს ფონდის პრემია, რომელიც ჟ. აველანჟს გადაეცა.

ფიფას პრეზიდენტი შეხვდა რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრს ვ. ჩერნომირდინს, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს ვ. კოლოსკოვს, ესაუბრა ჟურნალისტებს.

## კორეა თუ იაპონია?

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია უკვე ახლა დაინტერესებულია პრობლემით სად გაიმართება 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი — კორეაში თუ იაპონიაში? რა თქმა უნდა, ეს საკითხი დიდად გვაინტერესებს ჩვენც, ფეხბურთის მოყვარულებს.

ფიფამ საგანგებო კომისია შექმნა გერმანიის საფეხბურთო ფედერაციის გენერალური მდივნის ჰორსტ შმიდტის მეთაურობით, რომელიც საინსპექციო ვიზიტით იმყოფებოდა სეულში, შემდეგ კი ეწვია იაპონიას.



## ლენარტ იუჰანსონი: «რეფორმები საჭიროა!»

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, ამას წინათ, ჟენევაში ესაუბრა კორესპოდენტებს იმის თაობაზე, რომ ფეხბურთი გარკვეულ რეფორმებს საჭიროებს და მით უკეთესია, რაც უფრო მალე მოხდება ეს.

— უეფა წამყვანი ორგანიზაციაა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სისტემაში, — თქვა მან, — ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური შეწირულებანიც მის წილად მოდის, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ჩვენ ასე კრიტიკულად ვეკიდებით ფიფას პრეტენზიებს, ვცდილობთ საკონფლიქტო ასპექტები ჩვენს სასარგებლოდ გადავწყვიტოთ, სადავო საკითხები კი საკმარისად გვაქვს. უეფას მიმართ დიქტატის პოზიციები არავის გამოადგება!

უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ჟენევაში გადაწყდა, რომ ლენარტ იუჰანსონმა თავისი კანდიდატურა წამოაყენოს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე. ახლანდელ პრეზიდენტს ჟოაო ავლანჟს რწმუნებას ვადა გაუდის 1998 წლის ივნისში.

სურათზე: ლენარტ იუჰანსონი.

## არგენტინა — ბრაზილია 0-1

ბუენოს-აირესში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა არგენტინისა და ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის.

თამაში დამთავრდა ბრაზილიელთა გამარჯვებით — 1-0.

## ევროპა — ამერიკა 3-4

**ბარსელონის** ცნობილ „ნოუ კამპის" სტადიონზე 50 ათასი მაყურებელი დაესწრო ევროპისა და ამერიკის კონტინენტების საუკეთესო ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს. შეხვედრა საქველმოქმედო მიზნით გაიმართა — მთელი შემოსავალი გადაეცა ბოსნიის ბავშვთა დახმარების ფონდს.

მეტად საინტერესო თამაშში თავიდანვე დაწინაურდნენ ამერიკელები (ლატორე). შესვენების შემდეგ რომარიომ მეორე გოლი გაიტანა, მერე სტოიჩკოვმა ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ იმავე რომარიომ ზედიზედ ორჯერ დააწინაურა ამერიკელები — 4-1. დასასრულს არტიაგამ და კორნეევმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა ანგარიშში, საბოლოოდ გამარჯვება ამერიკის ნაკრებს დარჩა — 4-3.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: **ევროპა** — ხუდრუნი, კირიაკოვი, შეიმეში, რ. კუმანი, აბელარდო, ამორი, კორნეევი, სტოიჩკოვი, კასპასი, მიჩელი, ვერკრიუისი. შემცვლელებად გამოვიდნენ პრიუნიე, ბ. შუსტერი, პეტრესკუ, პროსინეჩკი, დუმიტრესკუ, არტიაგა, ჰესი, ფ. კოუტუ, გვარდიოლა. **ამერიკა** — იგიტა, გუტიერესი, ე. ურტადო, დულანტო, დელ სოლარი, ლალასი, ლატორე, რინკონი, რომარიო, ვალდერამა, პალინია. შემცვლელები — კამპოსი, ჯამელი, უ. სანჩესი, ფუენტესი, ი. ირტადო, პოიეტი, ე. სანჩესი.

## სპორტი და რეკლამა

## ზოგს ლუდი უყვარს, ზოგს — ვისკი

**მაიკ ადამსის აზრით, ამერიკელებს ლუდი და სპორტი ერთნაირად უყვართ.**

ვინ არის ადამსი? სპეციალობით სოციოლოგი, რომელიც ვალდებულია იცოდეს ასეთი ნიუანსები. გარდა ამისა, ადამსი დიდი სარეკლამო სააგენტოს „იანგ უნდ რუბიკამის" წარმომადგენელია მოსკოვში და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. იგი რეკლამას უკეთებს თავისი კლიენტების პროდუქციას.

— ლუდი სპორტის გულშემატკივრების საყვარელი სასმელია, ამბობს ადამსი. შეერთებულ შტატებში ფეხბურთი, კეტბურთი, ჰოკეი და კალათბურთი უშუალოდ არიან დაკავშირებული ლუდთან. ტელეტრანსლაციას ამ სახეობებში ყველაზე ხშირად სწორედ ლუდის რეკლამისათვის სწყვეტენ.

**● მაშ რატომ არის, რომ ჟურნალების გარეკანზე უფრო ხშირად ვისკის რეკლამას ვხვდებით?**

— იმიტომ, რომ ლუდი სპორტის უბრალო გულშემატკივრების სასმელია, იმათი, ვინც მეტს უყურებს და ნაკლებს კითხულობს. ინტელიგენტი გულშემატკივარი უფრო ძვირადღირებულ სასმელს ეტანება, ვთქვათ ვისკის.

**● ვინაიდან ასე ორიგინალურად ჰყოფთ გულშემატკივრებს, თქვენ ალბათ სპორტის სახეობების შკალაც გექნებათ შედგენილი?**

— რა თქმა უნდა. ამერიკასა და კანადაში კონკურენციის გარეშეა კალათბურთი, ფეხბურთი, კეტბურთი და ჰოკეი. ყველას უყვარს ეს სახეობები და ყველა ინტერესით უყურებს რეპორტაჟებს. მატჩების დროს, როგორც წესი, სვამენ ლუდს, ერთმანეთს ურტყამენ ხელს მხარზე და საკმაოდ ხმამაღლა საუბრობენ. სხვა საქმეა გოლფი, ჩოგბურთი, დოლი, აფროსნობა და ავტორბოლა. აქ შეჯიბრებებზე მცოდნე და შეძლებული ხალხი დადის. ამიტომაც, სპორტის ეს სახეობები ძვირადღირებულ საგნებთან არიან დაკავშირებული.

**● აქვს თუ არა სპორტს აშშ-ში საკუთარი იმიჯი?**

— ყოველ შემთხვევაში პოპულარული სახეობების წარმომადგენლები (არაფერი რომ ვთქვათ ელიტარულებზე) ცდილობენ, ჰქონდეთ შეუბღალავი რეპუტაცია და თავგადადებულნი იბრძვიან ამისთვის.

**● ერთ ან ორ მაგალითს თუ მოიყვანთ?**

— ამერიკაში იყო დიდებული კეტბურთელი პიტ როუზი. ერთხელ ხმა გავარდა, რომ მას საეჭვო ტოტალიზატორთან აქვსო კავშირი. კეტბურთის ხელმძღვანელობამ მაშინვე გარიცხა იგი სპორტიდან, თანაც სამუდამოდ, თუმცა თავი მაინცდამაინც არ შეუწუხებია ამ ხმების შემოწმებით. ანალოგიური ამბავი მოუვიდა „ნიუ-იორკელი იანკების" ფეხბურთელთა გუნდის პატრონს ჯორჯ სტეინბრენერს. მას ბრალად დასდეს საეჭვო რეპუტაციის ხალხთან კავშირი და იძულებული გახადეს წასულიყო სპორტული ბიზნესიდან.

**● დიდი ხანია, რაც დაიწყო სიწმინდისათვის ბრძოლა ამერიკულ სპორტში?**

— დაახლოებით ათი-თხუთმეტი წელია. მას შემდეგ, რაც ამერიკელები მიხვდნენ, რომ სპორტს მათ ცხოვრებაში უდიდესი როლი აკისრია. ბავშვები სპორტში მეცადინეობას 6-7 წლის ასაკიდან იწყებენ და მშობლებს, ბუნებრივია, სურთ რომ ატმოსფერო სპორტში წმინდა იყოს.

**● ვინ ეხმარება სპორტსმენს სასურველი იმიჯის შექმნაში?**

— სპორტსმენთან ამ საკითხზე, როგორც წესი, მისი მენეჯერი მუშაობს. ისეთი გიგანტის სამსახური, როგორც „იანგ ენდ რუბიკამი" გახლავთ, მას ცხადია, არ სჭირდება. ჩვენი სააგენტო მხოლოდ მსხვილ კორპორაციებს ემსახურება.

**● ესე იგი სპორტულ სფეროში თქვენ არ მოღვაწეობთ?**

— პირიქით. სპორტი სარეკლამო საქმიანობისთვის დიდებული ასპარეზია და ყველას, ვისაც ბიზნესში სურს მუშაობა მოვუწოდებ გვერდი არ აუაროს სპორტს. ოღონდ კეთილსინდისიერება და სიწმინდე იმთავითვე გარანტირებული უნდა იყოს.

# რა გამოასწორებს ეფენბერგს?

ის, რაც ბრიტანული ფეხბურთისათვის ჯორჯ ბესტი იყო, ან ფრანგულისათვის — ერიკ კანტონა, გერმანელთათვის, უდავოდ, შტეფან ეფენბერგია. ეს ის მოთამაშე გახლავთ, რომელიც სისტემატიურად „კვებავს" სენსაციების მოყვარულებს, იწვევს ათასნაირ მითქმა-მოთქმას, ჭკუას ვერასოდეს სწავლობს. ამ მხრივ ეფენბერგი გერმანულ ფეხბურთში მარტო არ არის. დიდად „დალაგებულად" არც ული შტაინი, მაურიციო გაუდინო და მარიო ბასლერი ითვლებიან, ბოლო ხანებში კი მათ ანდრეას მიოლერიც მიემატა. მაგრამ შტეფან ეფენბერგი მაინც სულ სხვაა... „ეფენბერგი მეტისმეტად ნიჭიერი მოთამაშეა, თუმცა უცხოა მისთვის შინაგანი დისციპლინა. მისი გულღიაობა ხშირად უბოდიშობასა და თავხედობაში გადადის. „არა, სანამ მე ნაკრების ხელმძღვანელი ვარ, ეფენბერგის ფეხი იქ არ იქნება" — ასე განაცხადა გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა.

ფოგტსის მტერ-მოყვარეობას ეფენბერგთან ხანგრძლივი ისტორია აქვს. როცა 19 წლის ნახევარმცველმა თავის პირველ კონტრაქტს მოაწერა ხელი მენხენგლადბახის „ბორუსიასთან", ეს ფაქტი არ გამოეპარა ფოგტსს, რომელიც მაშინ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელი იყო. მან ეფენბერგი თავის გუნდში მიიწვია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თვითონვე დაითხოვა. რატომ? სინამდვილე არავინ იცის, ზოგი ამბობს, რომ ეფენბერგმა სრულებითაც არ დააფასა თავისი კეთილისმყოფელი და პირველივე შემთხვევისთანავე დაეჭვდა მის კომპეტენტურობაში. იმასაც ამბობდნენ, რომ ახალი, ყოყლოჩინა პარტნიორი გუნდის სხვა წევრებმა ვერ აიტანეს და კატეგორიულად მოთხოვეს მწვრთნელს თავიდან მოეშორებინა იგი.

ეფენბერგი რომ მართლაც აუტანელი კაცი იყო, ამაში მალე მენხენგლადბახის „ბორუსიის" ხელმძღვანელობაც დარწმუნდა, გარიცხავდნენ კიდეც, მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. მიუნხენის „ბაიერნმა" ყური არ დაუგდო სხვადასხვა ხმებს თუ ფაქტებს, კარგად იცოდა, თუ რაოდენ ნიჭიერი ფეხბურთელი იყო ეფენბერგი და შეიძინა იგი. „ბორუსია" რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი დარჩა, მაგრამ სულ ცოტა ხნის შემდეგ ეფენბერგმა ჩათვალა, რომ ისევ მიუნხენგლადბახში დარჩენა ჯობდა მიუნხენში გადაბარგებას. მას „ბაიერნის" არც ერთი მოთამაშე არ მოსწონდა, და, ასე გასინჯეთ, არც... მაყურებელი. მაყურებელს კი ეს უნდოდა? საკმარისი იყო ეფენბერგის მინდორზე გამოჩენა, რომ მას მყისვე უსტვენდნენ ხოლმე. „მისტვინონ, რამდენიც უნდათ! სულ ერთია, მე ამ გუნდში მაინც ყველაზე უკეთესად ვთამაშობ!" — თქვა ეფენბერგმა.

თამაშობდა, როგორ არ თამაშობდა! ამასობაში ბერტი ფოგტსმა უკვე გერმანიის ეროვნული ნაკრები ჩაიბარა. მან დაივიწყა ადრინდელი წყენა და ეფენბერგს ისევ თავისთან მოუხმო. თუ მთავარი მწვრთნელი ასე თუ ისე შემწყნარებელი აღმოჩნდა, „ბაიერნის" მესვეურებს უკვე აღარ უნდოდათ აყალ-მაყალის „სპეციალისტის" გვარის გაგონება, ამიტომაც იგი სრულიად იაფად დაუთმეს იტალიის „ფიორენტინას".

არ შეიძლება ითქვას, რომ ეფენბერგის იტალიური კარიერა ბრწყინვალედ წარიმართა, პირიქით, „ფიორენტინას" იტალიის „სერია ა"-ს დატოვება მოუხდა.

ამასობაში მოახლოვდა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატი. ფოგტსმა ჯერ კიდევ ადრე გამოაცხადა, რომ ეფენბერგს წაიყვანდა ამერიკაში, ამ ამბავმა კი, უპირველეს ყოვლისა, გუნდის ვეტერანების უკმაყოფილება გამოიწვია. გვიდო ბუხვალდს არ დაავიწყდა, რომ ეფენბერგმა მას უწოდა „ჩვეულებრივი ნაგავი, რომელიც ტყუილად ატარებს დროს მინდორზე". განთქმული ლოთარ მათეუსი, მსოფლიო კლასის მოთამაშე და ნაკრების კაპიტანი, თურმე, შტეფანის აზრით, „კარგა ხანია პენსიაზე უნდა გასულიყო".

ფოგტსს მაინც ეფენბერგის იმედი ჰქონდა, მაგრამ იმან, რაც მსოფლიო ჩემპიონატის დროს სამხრეთ კორეელებთან მოხდა, თვით თავშეკავებულ მწვრთნელსაც კი დააკარგვინა მოთმინება. გერმანელმა გულშემატკივრებმა, რომლებიც გუნდს თან ახლდნენ, ეფენბერგს ყიჟინა დასცეს. ეფენბერგმა, მინდორს რომ ტოვებდა, მაყურებლებს ხულიგნური ჟესტით მიმართა, რისთვისაც დაუყოვნებლივ დაატოვებინეს ნაკრები.

ახლა ეფენბერგი კვლავ მიუნხენგლადბახის „ბორუსიაში" თამაშობს. როგორ? ძალიან კარგად! ამასთან ისიც ცნობილია, რომ გერმანიის ნაკრები საკმაოდ უფერულად გამოიყურება, უშველის კი ეფენბერგის კიდევ ერთხელ დაბრუნება საქმეს? ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ შეიძლება უშველოს. ამასთან ფოგტსს, რომელსაც ეფენბერგმა ამდენი უსიამოვნება მიაყენა, მასთან საქმის დაჭერა ნამდვილად აღარ სურს. თვით ეფენბერგი კი აცხადებს: „მე ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ იმის მიუხედავად, თუ ვის ან რას ეხება საქმე. თუ ასე არ მოვიქცევი, ჩემს თავს პატივს აღარა ვცემ, რაც შეეხება ნაკრებს, მასში სიამოვნებით დავბრუნდებოდი, თუმცა ხვეწნას არ დავიწყებ."



ეფენბერგი

უცხოეთის ფეხბურთის ამბები • უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# SOS!

## უშველეთ საქართველოს საავიაციო სპორტს!

საავიაციო სპორტში თუ ვინმეს უთქვამს თავისი სიტყვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, მათ შორის მოწინავეთაგანი იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები, დასტურად თუნდაც მსოფლიოს რეკორდების გახსენება გამოდგება. აღარაფერს ვამბობთ, მრავალ საჰაერო შოუში წარმატებით გამოსვლებზე.

ავიამოდელიზმი, დელტაპლანერიზმი, პარაშუტიზმი, უმაღლესი პილოტაჟი, თვითმფრინავით ნავიგაცია, საჰაერო ბურთებით, მიკროთვითმფრინავებით ასპარეზობა, პლანერიზმი, საშვეულმფრენო სპორტი — ყველაფერი ეს დანერგილი იყო ჩვენში და დიდი პერსპექტივაც ჰქონდა, დღეს, კი... დღეს საქართველოს საავიაციო სპორტის ფედერაციას (იგი საერთაშორისო ფედერაციის წევრია 1993 წლიდან) აღარავინ აქცევს ყურადღებას, მეტიც, ჩაყლაპვას უპირებენ ქვეყანაში საავიაციო სპორტის ბოლო ციტადელს — თბილისის საავიაციო ქარხნის აეროკლუბს. ყველაფერი დაიწყო ფრენის აკრძალვით და დამთავრდა სპორტული საავიაციო ტექნიკის ჩამორთმევით.

ამჯერად თავს ვიკავებთ ფაქტების ანალიზისაგან, ერთს ვიტყვით მხოლოდ — ვერ დავიჯერებთ, რომ ქვეყანას არ ესაჭიროება თავდაცვისათვის და ექსტრემალური შემთხვევებისათვის საავიაციო სპორტის გამოყენების განსაკუთრებული შესაძლებლობები. გავიხსენოთ: 1993 წლის შემოდგომის იმ ავბედით დღეებში, მფრინავ სპორტსმენებს სვანეთიდან ქუთაისში გადაჰყავდათ აფხაზეთიდან ლტოლვილები. საავიაციო სპორტის შევიწროება და მისი სრული გაუქმების მცდელობა მით უფრო გაუგებარია, რომ ფედერაციის პრაქტიკული საქმიანობა საჰაერო სივრცეში, სავსებით ეთანხმება საერთაშორისო ნორმებს.

პასუხს, პირველ ყოვლისა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მოველით.

## მკითხველის თხოვნით

ოლიმპიური თამაშების პროგრამის გარშემო სპეციალისტები თითქმის მთელი საუკუნეა კამათობენ. სპორტის ბევრი სახეობა ტიტანურ ბრძოლას ეწევა, რომ როგორმე მოხვდეს პროგრამაში. ეს ბრძოლა ბოლო ხანებში ერთგვარად შენელდა, უფრო სწორად, პრინციპულად განსხვავებული ხასიათი მიიღო. ახლა სპორტის ბევრი სახეობა იბრძვის იმისთვის, რომ დარჩეს პროგრამაში, კვლავაც იყოს ოლიმპიური ოჯახის სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

## ვინ იქნება შემდეგი?

თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ჟაკ როგის აზრით, სპორტის ზოგიერთი სახეობა ველარ პასუხობს თანამედროვე გემოვნებასა და მოთხოვნილებებს. მათი ამოღება პროგრამიდან, უკიდურეს შემთხვევაში კი შეცვლა სხვა სახეობით, ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა. ეს მოტივი შეინიშნება სოკის ალმასკომის სხვა წევრთა გამოსვლებშიც. განწირულ სახეობათაგან სპეციალისტები პირველ რიგში ასახელებენ: სინქრონულ ცურვას, წყალში ხტომას, წყალბურთს, თანამედროვე ხუთჭიდს, აკადემიურ ნიჩბოსნობას, საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეს, ფარიკაობას, აფროსნობას და ცხენოსნობის ზოგიერთ დისციპლინას.

მათი აზრით, უკვე დიდი ხანია ოლიმპიური კარის შემონგრევას ლამობენ ტრიატლონი, გოლფი, პლაჟის ფრენბურთი (პლაჟბურთი), მაგრამ ვერ ახერხებენ ამას, ვინაიდან ოლიმპიური თამაშების პროგრამა ზომაზე მეტად არის გაბერილი და გადატვირთული. ახალი სახეობის ჩართვა პროგრამაში ამიერიდან შესაძლებელია რომელიმე სხვა სახეობის შემცირების ხარჯზე. და თუ ეს მართლაც განხორციელდა, ჩავთვალოთ, რომ ოლიმპიადების სტრუქტურაში რევოლუციური სიახლე მოხდა. თამაშების პროგრამა, ცხადია, აქამდეც ხშირად იცვლებოდა, ბევრი სახეობა სტოვებდა ოლიმპიურ სარბიელს წლობით, მაგრამ მერე და მერე ბრუნდებოდა. თანაც, ოლიმპიადიდან წასვლა მხოლოდ ნებაყოფლობის პრინციპით ხდებოდა და არავითარ შემთხვევაში იძულებით.

ამ სიახლეთა წინააღმდეგ, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, საერთაშორისო ფედერაციები იბრძვიან, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც შავ სიებში არიან შეტანილი. ისინი გარკვეულ ზეწოლას ახდენენ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტზე, მაგრამ ამ უკანასკნელის პოზიციების შერყევა შეიძლება მხოლოდ ერთი პირობით. სოკი აცხადებს კიდეც პირდაპირ: „გახადეთ თქვენი სახეობა პოპულარული და ჩათვალეთ, რომ თქვენგან მეტს არაფერს ვითხოვთ“.

მაგრამ მთლად ასე, როგორც ჩანს, მაინც არ არის. სოკი ნაკლებად პოპულარულ სპორტის სახეობათა გარდა ალმაცერად უყურებს ძვირადღირებულ სახეობებს, დისციპლინებს, რომლებსაც ფართო ინფრასტრუქტურა სჭირდებათ და სახეობებს, რომლებიც არ არიან განვითარებული მესამე სამყაროში, არ აზიდავს ახალგაზრდობას. თუ მათ არ გაზარდეს პოპულარობის ხარისხი, არ აიმაღლეს რეიტინგი და არ უპასუხეს სოკის სხვა მოთხოვნებს, მაშინ დაიწყება საუბარი იზოლაციის შესახებ. თუმცა, ჟაკ როგმა თავის ამასწინანდელ გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართებით ნავარაუდებია ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ ოთხწლიან პერიოდში. მაშინ გადაწყდება საბოლოოდ ისიც, რომ ოლიმპიადებში არ დაუშვან 10 ათას სპორტსმენზე მეტი, ვინაიდან ბოლო წლებში კატასტროფულად გაიზარდა თამაშებში მონაწილეობის მსურველი ქვეყნების რაოდენობა. ეს წესი, ბუნებრივია, არ მოსწონთ ქვეყნებს — გიგანტებს, მაგრამ, როგორც ჟაკ როგმა განაცხადა, ეს უკვე ამ ქვეყნის პრობლემაა და არა სოკისა.

## პირველად — გულაღმა რეკორდისაკენ!



სურათზე: რიჩარდ ფოსბიურის ბოლო ნახტომის დასკვნითი ნაწილი მეხიკოს ოლიმპიურ სტადიონზე, რომელმაც ამერიკელ მძლეოსანს ოქროს მედალი და ნოვატორის სახელი მოუტანა.

რევოლუცია სპორტში არ ხდება ერთბაშად. მას, როგორც წესი, ახორციელებს სპორტში ფანატიკურად შეყვარებული ხალხი გულმოდგინე და დაკვირვებული შრომის შედეგად, ყველა არსებული ნიუანსისა და დეტალის გათვალისწინებით.

რიჩარდ ფოსბიური და მისი მწვრთნელი დიდხანს ამუშავებდნენ ნოვატორულ იდეას სიმაღლეზე ხტომის მეთოდიკის შეცვლის, უფრო სწორად, გაუმჯობესების მიზნით. და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანეს იგი სამსჯავროზე.

ეს მოხდა 1968 წლის ოქტომბერში, მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც ფოსბიურიმ მოიპოვა ოქროს მედალი, დაამყარა ახალი რეკორდი (2,24 მ) და ორი სანტიმეტრით აჯობა თანაგუნდელს, იმავე ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს ედვინ კარატერსს. და ეს ყველაფერი მოხდა ხტომის იმ ახლებური ყაიდის წყალობით, რომელსაც მისი ავტორის პატივსაცემად „ფოსბიური ფლოპი“ დაერქვა. გადავლების მეთოდს საუკუნის დასაწყისიდან მიმართავდა ყველა სიმაღლეზე მხტომელი მთელს მსოფლიოში. „ფოსბიური ფლოპმა“ დააკანონა გულაღმა ხტომის მეთოდი. ეს გახლდათ ყველაზე დიდი რევოლუცია მძლეოსნობაში 60-იანი წლების მიწურულს.

### იუმორი



## ჭადრაკი • ამოცანა



სვლა თეთრებით — მოგება.

## საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე

ბიომექანიკის კათედრაზე

1. დოცენტის 1 ერთეული — სპორტული მეტროლოგის სპეციალობით, მეცნიერებათა კანდიდატი

ფ/კ მართვისა და ორგანიზაციის კათედრაზე

1. უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული — ორგანიზაციისა და ისტორიის სპეციალობით

ტანვარჯიშის კათედრაზე

1. უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული — სპორტული ტანვარჯიშის სპეციალობით

მძლეოსნობის კათედრაზე

1. დოცენტის 1 ერთეული — მეცნიერების კანდიდატი

სპორტული თამაშების კათედრაზე

1. კათედრის გამგე — 1 ერთეული — კალათბურთის სპეციალობით
2. უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული — ფრენბურთის სპეციალობით
3. უფროსი მასწავლებელი — 2 ერთეული — კალათბურთის სპეციალობით

სათხილამურო სპორტის კათედრაზე

1. კათედრის გამგე — 1 ერთეული

საწყალოსნო სპორტის კათედრაზე

1. დოცენტის 1 ერთეული — ცურვის სპეციალობით, მეცნიერებათა კანდიდატი
2. უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული — ცურვის სპეციალობით

**კონკურსის ვადაა 1 თვე დღიდან გამოცხადებისა.**

**მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49. ტელ. 29-09-02**

## ყურადღება!

შპს „იმფო“-ს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ, 1995 წლის 6 დეკემბრამდე, წარმოადგინონ თავიანთი პრეტენზიები.

საორგანიზაციო კომისია.

## კროსვორდი



თარაზულად: 1. თბილისის საკალათბურთო გუნდი, 4. თანამედროვე პროფესიონალი მოკრივე, 9. ილეთი ქართულ ჭიდაობაში, 10. ვარჯიში აკრობატიკაში ან ბილიარდში სამკუთხედად დალაგებული ბურთები, 13. არგენტინელი ფეხბურთელი, რომელიც 50-60-იან წლებში თამაშობდა იტალიის კლუბებში, 15. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 16. სხვისი ნების უსიტყვო შემსრულებელი, 19. ცნობილი რუსი მოციგურავე-ფიგურისტი, 22. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 23. მძიმე წონის ქართველი მოჭიდავე, 24. ნბა-ში კალათბურთელთა საკონტრაქტო მორიგების სისტემა, 25. ცნობილი გერმანელი მოჭადრაკე ვაჟი, 30. რუსი ძალოსანი, მწერალი, 32. მადრიდის „რეალის“ ამჟამინდელი მწვრთნელი, 33. ფეხბურთში ოლიმპიური ჩემპიონი ქვეყანა, 37. 1952 წლის ოლიმპიური ჩემპიონი კრივში (აშშ), (საშუალო წონა) შემდეგ პროფესიონალი, მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი, 39. ისტორიული ნაგებობა მოსკოვში, რომლის სახელობის თასი თამაშდება ჩოგბურთში, 40. ცნობილი ლიტველი მოფარიკავე (50-იანი წლები), 41. ინგლისის პოპულარული საფეხბურთო კლუბი, 42. 1936 წლის ოლიმპიადის გმირი — ველომრბოლი, მოიგო ოქროს სამი მედალი, 43. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 44. ფინელი მძლეოსანი — ოლიმპიური ჩემპიონი (1928 წ.), მსოფლიოს სამგზის რეკორდსმენი — ათჭიდელი.

შვეულად: 2. ცხენის სამართავი მოწყობილობა, 3. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი სამხტომში, 5. ალმა-ათის საფეხბურთო კლუბი, 6. ქართველი მოჭადრაკე ვაჟი-მწვრთნელი, 7. ფეხბურთში, ჰოკეიში გუნდის წევრი, რომელიც თამაშობს თავდასხმაში, 8. თანამედროვეობის უძლიერესი სამხტომელი, 11. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 12. წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა, ცერემონიალი... 14. გამოჩენილი ავსტრალიელი მოცურავე ქალი, ოლიმპიური (სამგზის, 1972 წ.) და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, 17. ესპანელი ველომრბოლი, „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის გამარჯვებული, 18. 30-იანი წლების შვედი მოჭიდავე, 20. ორბირთვი... 21. ოლიმპიური ჩემპიონი ათჭიდში (1972), 26. ფეხბურთში ნახევარმცველი ანუ... 27. პოპულარული საჭადრაკო ჯილდო, 28. რიტმის დარღვევა, 29. სახელგანთქმული ბრაზილიელი მძლეოსანი, 31. სიმაღლეზე ხტომაში (ვაჟებში) ოლიმპიური ჩემპიონი (1972), 34. ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი, 35. მეფე ერეკლე მეორის დროს გმირი მოჭიდავე ქალი, 36. ცნობილი დაღესტნელი ფალავანი — მსოფლიო მრავალგზის ჩემპიონი, 38. პიროვნება, რომელსაც სპორტსმენი ეტალონად ისახავს.

„ლელო“-ს 42-ე ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. არველაძე; 6. „მარაკანა“; 8. სიმეონოვი; 11. კლოსი; 14. „ჯენოა“; 15. გუცაევი; 16. ქორქია; 17. „უნიონი“; 21. ალავიძე; 22. კეპკე; 23. ერერა. 26. პუსაინოვი; 27. აფციაური; 28. შენგელია.

შვეულად: 1. ბრაზილია; 2. „ლაციო“; 3. კრივი; 4. ანტონოვი; 7. ტოსტაო; 9. ოსტროვსკი; 10. დევონშირი; 12. გურიელი; 13. სვანაძე; 18. ზეედორფი; 19. „ივერია“. 20. კარტოზია; 24. რურუა; 25. ევანი.

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ი. სიდამონიძე, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური. მ. წოწორია